CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

N70 (3386) 23 ივნისი 2016 წ. PRESS ფასი 50 თეთრი

ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდ ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

50 თეთრი

გამოდის:

ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

რაზე ესაუბრა ეროსი კიწმარიშვილი გარდაცვალებამდე ვალერი გელბახიანს და ბიძინა ივანიშვილს?

3

აბსურდები, რაც პროკურატურას ეროსი კიწმარიშვილის საქმის დახურვისას გაეპარა...

7

გივიი, აკი სოჭშიაო?! და „შუსუსას“ უნდა ვკითხოთ – რა სპეცოპერაციები აგიტყდათ, ცხვირწინ არ გყავდათ ეგ კაცი?!

2

ივანიშვილის მარიონეტებს სააკაშვილის მარიონეტები ემუქრებიან – მოვა ბუა და არჩევნებზე კუდით ქვას გასროლინებთო

2

აქამდე გექნათ რამე, ახლა რომ უფახულებთ თვალებს სტრასბურგს, არ შეგეძლოთ?



2

ნიკა გვარამიამ აჯანყება დააანონსა...

რისთვის მიყიდნენ მასთან შეხვედრაზე ბურჭულაძის და ალასანიას პარტიის წარმომადგენლები?



9

რატომ დაიწყო ლარმა უცებ გაუფასურება?

„ოცნების“ ექსპერტები და სხვებიც, ქადაგიძეს ადანაშაულებდნენ საბოტაჟში, გვენეტაძემაც იგივე დაიწყო თუ სუსტი მმართველია?

11

სოციალურ მუშაკს ბავშვის მოძალადე ოჯახის წევრისგან განცალკევების უფლება მიენიჭა

6

საგამოცდო ცენტრების ჩამონათვალი და ადგილმდებარეობა – გამოცდები 2016

10

რა პრობლემებს წააწყდებიან მშობლები ბაღებში ბავშვების დარეგისტრირებისას

13

ივანიშვილის მარიონეტებს სააკაშვილის მარიონეტები ემუქრებიან — მოყვა ბუა და არჩევნებზე კუდით ქვას გასროლინებთო

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს „ნაციონალური მოძრაობის" წევრი გიგა ბოკერია გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ხელისუფლებამ იცის, რომ არჩევნებს წააგებს და ცდილობს, რაღაც პოზიციები სხვადასხვა მანიპულაციით შეინარჩუნოს.

– ივანიშვილი და მისი მარიონეტების გუნდი ხვდებიან, რომ არჩევნებს წააგებენ და ამიტომ ეპოტინებიან ამ მანიპულაციებს, რომ რაღაცა პოზიციები შეინარჩუნონ. ჩვენი, როგორც საზოგადოების ამოცანაა, რომ ის ზიანი, რაც ივანიშვილმა მოუტანა და მოაქვს ჩვენი სამართლებრივი სისტემისთვის, აღმოვფხვრათ, მაგრამ კიდევ უფრო მთავარია, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დავუსვათ პოლიტიკური ამოცანებისთვის სამართლებირვი სისტემის მანიპულაციებს. ეს სჭირდება საქართველოს და ამას იზამს საქართველოს მომავალი ხელისუფლება ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როცა ივანიშვილს ჩამოვაცილებთ ხელისუფლებიდან, - განაცხადა ბოკერიამ. (news.ge)

ვაახ, როდის მოვა არჩევნების დღე, გამოვიდეთ და მაგრად დავცინოთ ამ უდღეურებს — გინდ იქით, გინდ — აქეთ!

კაცო, სექსი ხომ არ არის, ეს ოხერი, ორივე მხარე ნასიამოვნები დარჩეთ?! აბა, „ნაცები" ამბობენ: „ბეზ პიტი მინუტ" ხელისუფლებაში ვართო, „ოცნებაში" კიდევ: ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადიო.

თქვენა და ორივემ როგორ უნდა გაიმარჯვოთ, ხომ ვერ გვეტყვით?

ააა, როგორც 2012 წელს მოხდა, როცა „ქოცებიცა" და „ნაცებიც" მოასხედით პარლამენტარების სკამებს და „ეკოჰაბიატაციავეთ" ერთმანეთს, არა? ეს გაქვთ ისევ ჩაფიქრებული, თქვე ქვეყნის ფეხებზე დამკიდებლებო? აღარ გამოგივათ ეგ ამბავი, გამორიცხულია და მართლა გულიანად დაგცინებთ ყველას ოქტომბრის არჩევნების შემდეგ! მანამდე კი სხვა რა გზა გვაქვს, ვისმენთ თქვენს უაზრობებს...

ევროპელებმა: როგორ არა გრცხვენიათ, ივანე მერაბიშვილი რა დღეში გყავთო

წინასაარჩევნო გარემო საქართველოში, კორცხელის ინციდენტი და ვანო მერაბიშვილის საქმე - ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრმა, პიტერ ომციგმა ასამბლეის დეპუტატების ერთობლივი დეკლარაცია გაავრცელა.

დეკლარაციას 50-მდე დეპუტატი აწერს ხელს, მათ შორის უკრაინელი დეპუტატი, ნადია სავჩენკო.

– ვანო მერაბიშვილზე მომზადებულ დეკლარაციას ხელს აწერს 50 ადამიანი. ხშირად არ ხდება, რომ ქვეყანა მე-18 მუხლის გამო გაიკიცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას ციხეში სხვა და არა სამართლებრივი მიზეზით სვამენ, ამ შემთხვევაში პოლიტიკური მიზეზია. სასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარი დაკავების გახანგრძლივება მე-18 მუხლის დარღვევაა, ეს სამარცხვინოა საქართველოსთვის, - განაცხადა ომციგმა. (ნიუპოსტი)

სადაური ომციგია, კაცო, ესა? ჰო, აქაური აშკარად არ არის და იმიტომაც მიაცვმოაცვამს რაღაც სისულელეებს დანარჩენ 50 ევროპარლამენტართან ერთად.

მოდით, რა, ძვირფასო ევროპელებო, თქვენ რა დაპირებებსაც გვაძლევთ, ის შეასრულეთ და საკუთარ თავს როგორმე მივხედავთ — მათ შორის, ივანე მერაბიშვილსაც, რომელიც პრინციპში, გადარჩენილიც კია, მააშ?! აბა, ეგ რომ ახლა ციხეში არ ივჯდეს, კორცხელში მელიაზე არანაკლებად გაუერთიანებდნენ ცხვირ-პირს და დაგვიჯერეთ, ძალიან ბევრი გამწარებული ადამიანი დარჩებოდა კმაყოფილი. იმიტომ კი არა, რომ მოძალადეები არიან, არავითარ შემთხვევაში! იმიტომ, რომ ორი და მეტი „ტრუპის" ჭირისუფალმა, „ქართული ოცნების" არაერთი დაპირების მიუხედავად, სამართალი მაინც ვერ იპოვა.

აქამდე გექნათ რამე, ახლა რომ უფახულებთ თვალებს სტრასბურგს, არ შეგეძლოთ?

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის ფაქტზე გამოძიების დაწყებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. დეპუტატების შეფასებით, გამოძიებასთან ყველამ უნდა ითანამშრომლოს, მათ შორის ყოფილმა პროკურორმაც. თუმცა, აცხადებენ, რომ ვანო მერაბიშვილი დამნაშავეა და იგი სასჯელს სამართლიანად იხდის:

– ყველამ უნდა ითანამშრომლოს და ეს თუნდაც მცირე შენიშვნა, რაც სტრასბურგიდან მოვიდა ჩვენდამი, არ უნდა დარჩეს არანაირ ჩრდილში. ამ საკითხზეც უნდა იყოს სინათლე შეტანილი, რა მოხდა რეალურად, - განაცხადა ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, გიორგი ვოლსკიმ. (ნიუპოსტი)

● რამდენი რამე შეგეძლოთ, გია ბატონო, რამხელა მხარდაჭერა გქონდათ ხალხისგან, მაგრამ ისე გაფლანგეთ ნდობაცა და რესურსიც, ახლა მხოლოდ რევერანსებიღა დაგრჩენიათ. „ტეხავს"!..

საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხის განხილვა ევროპარლამენტის კომიტეტში 27 ივნისს ჩაინიშნა

საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხის განხილვა ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებათა, მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა კომიტეტში **(LIBE)** 27 ივნისს ჩაინიშნა. კომიტეტის სხდომის დღის წერიგი ევროპარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

აღნიშნულ საკითხზე მომხსენებელმა მარია გაბრიელმა რეკომენდაცია მისცა სამოქალაქო თავისუფლებათა, მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა კომიტეტს, რომ მხარი დაუჭიროს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე საკანონმდებლო ინიციატივის ანგარიშის პროექტს, ვინაიდან საქართველომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ყველა ვალდებულება შეასრულა.

საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის შემოღებას ევროპარლამენტში კენჭისყრის გარდა, ევროკავშირის საბჭოს მხარდაჭერა სჭირდება. ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა აღნიშნულ საკითხზე უკვე იმსჯელეს, თუმცა გადაწყვეტილება არ მიუღიათ. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

გიგიიი, აკი სოჭშიაო?! და „შუსუსაც" უნდა ვკითხოთ — რა სპეცოპერაციები აგიტყდათ, ცხვირწინ არ გყავდათ ეგ კაცი?!

ე.წ. კანონიერი ქურდი დავით გერლიანი დაკავებულია. ქართველმა სამართალდამცავებმა გერლიანი საქართველო-სომხეთის საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას დააკავეს. ამის შესახებ შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილის მიერ გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი.

– 2016 წლის 19 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე (პრიმა) მუხლის მე-2 ნაწილით, რაც ქურდული სამყაროს წევრობას ან კანონიერ ქურდობას გულისხმობს.

გამოძიებას საფუძვლად დაედო გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დანაშაულებრივი სამყაროს ერთ-ერთმა წევრმა, ე.წ. კანონიერმა ქურდმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა.

3 დღის განმავლობაში უწყებამ გააზრებულად არ გააკეთა კომენტარი, რათა ხელი არ შეშლოდა საგამოძიებო მოქმედებებს. ზემოაღნიშნული პირის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით განხორციელებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისას, კანონიერი ქურდობის ბრალდებით, აღნიშნული პირი დაკავებული იქნა. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია მის სახელზე გაცემული უკრაინის რესპუბლიკის პასპორტი.

ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ხსენებული პირი 2016 წლის 22 ივნისს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გვერდის ავლით ცდილობდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დატოვებას.

მედიაში და ასევე, უკრაინის შსს-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რამდენიმე დღის წინ აღნიშნული პირის, როგორც ე.წ.კანონიერი ქურდის, უკრაინიდან საქართველოში დეპორტაცია განხორციელდა.

აქვე მსურს მოვუწოდო ჩვენს მოქალაქეებს, რომ სოციალურ ქსელებში დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და ჩასაფრებულის პოზიციიდან დაკვირვებას, თუ რას მოიმოქმედებს პოლიცია, ვფიქრობ, აჯობებს, რომ ყველამ მოიხადოს თავისი მოქალაქეობრივი ვალი და შეატყობინოს სამართალდამცავ უწყებებს შესაძლო დანაშაულის შესახებ. ჩვენ, პოლიცია, უფრო ეფექტურად, უფრო ხარისხიანად და უფრო ოპერატიულად შევძლებთ ასეთ გარემოებებზე რეაგირებას.

ეს არის დასავლური სტანდარტი, რომლისკენაც ყველა მივისწრაფით, - განაცხადა მღებრიშვილმა. (ნიუპოსტი)

გივი თარგამაძე გულზე მჯიღებს იბრახუნებდა, სოჭშია უკვე წამოწოლილი გერლიანი და „იზაგრებაო", მაგრამ აგე, სომხეთშიც ვერ მოუსწრია გადასვლა. ჰოდა, კიდევ ერთხელ აერია „რამსები" „ნაცმოძრაობის" „ფეისს", რომელიც გემახსოვრებათ, თავადაც იყო შემჩნეული „კანონიერ ქურდებთან" „ბრატობაში" და უკრაინაში სწორედ მათი დახმარებით აპირებდა საქმეების „გაიმასქნებას".

რაც შეეხება „შუსუსუს" — კარგით, რა, კაცო, რა სპეცოპერაცია, რის ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებები, ცხვირწინ არ გყავდათ, როცა თბილისში ჩამოფრინდა?!

რაც შეეხება მინისტრის საყვედურს — სოციალურ ქსელებში კი ნუ საუბრობთ დანაშაულებზე, მოდით და პოლიციას უთხარითო და კიდევ ისაო, ეგაა დასავლური სტანდარტიო...

ბატონო გიორგი, „ხარება და გოგია" ნანახი გაქვთ?

რაზე ესაუბრა ეროსი კიწმარიშვილი გარდაცვალებამდე ვალერი გელბახიანს და ბიძინა ივანიშვილს?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პროკურატურამ გადაწყვიტა, ხმაურიანი საქმეები „ლოგიკურ დასასრულამდე“ მიიყვანოს, თუმცა, ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე უფრო მეტი კითხვა გააჩინა პროკურატურამ, როცა 22 ივნისს გვაცნობა, რომ ეროსი კიწმარიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, სავარაუდოდ, 312 ათასი დოლარი და 120 ათასი ლარი ვალის გამო და საქმე დახურულად გამოაცხადა... ფაქტობრივად, პროკურატურამ ვალი მოიხადა და მარტივი გამოსავალი მოძებნა, თუმცა ეს საქმე ხელისუფლებას ცუდად დაუბრუნდება, რადგან ეროსი კიწმარიშვილის შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის ეს თანხა არ იყო იმდენად დიდი, რომ ამის გამო თავი მოეკლა. ის შეძლებულ პიროვნებად ითვლებოდა და საკმაოდ დიდ უძრავ ქონებას ფლობდა, როგორც საქართველოში, ასევე საზღვრებს გარეთ. მაგალითად, მისი მეგობრის, ბადრი ნანეტაშვილის თქმით, ეროსის ნიუ იორკში, მანჰეტენზე ჰქონდა ბინა, რომელიც 3 მილიონი ღირდა. მოკლედ, პროკურატურა უფრო მეტ ეჭვს აჩენს, რომ გარდაცვალება დაკავშირებულია უფრო დიდ საქმესთან, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია და აქ დანაშაული შესრულებულია იუველირული სიზუსტით.

იურისტი ვალერი გელბახიანი „ალიასთან“ საუბარში პროკურატურის ვერსიას არადამაჯერებლად მიიჩნევს. შეგახსენებთ, რომ პარტია „ჩვენი საქართველოს“ სახელით, რომლის ლიდერიც გახლდათ ვალერი გელბახიანი, ეროსი კიწმარიშვილი რუსთავში კენჭს იყრიდა და ამის გამო მასთან გარკვეული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა.

– როცა კი ეს ამბავი მოხდა, მაშინაც ვთქვი, რომ ეროსი კიწმარიშვილი თავს არ მოიკლავდა, ვინც მას იცნობდა, ამაში დამეთანხმება. მებრძოლი ხასიათის პიროვნება იყო, კრიტიკულ მომენტებში არაფრის შეშინებია და უკან არ დაუხევია... და მაშინ, როცა ეროსის უფრო გრანდიოზული გეგმები ჰქონდა, ბუნებრივია, ვალის გამო თავს არ მოიკლავდა. თუმცა, ბოლო პერიოდში ამბობდა, რომ მისი ვალი ჰქონდათ სხვებსაც. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მან ჩვენი პარტიის სახელით იყარა კენჭი, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და რამდენჯერმე ვისაუბრეთ ტელეფონით. მას უნდოდა პოლიტიკური კარიერის გაკეთება, უნდოდა კარიერა დაეწყო თავისი მშობლიური ქალაქ რუსთავიდან. ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა იყო და ამბობდა, პრესტიჟის საკითხიაო. ფიქრობდა, რომ გახდებოდა რუსთავის მერი, წაგებაზე არც უფიქრია, თუმცა იყო კითხვები... მაგალითად, მე ეროსის ვკითხე, შენ კი გინდა მერობა, მაგრამ ივანიშვილთან თუ გაქვს რაიმე ტიპის მოლაპარაკებამეთქი?.. მან მიპასუხა, რომ ჰქონდა ივანიშვილთან კონტაქტი და მომავალშიც ექნებოდა, თუმცა დეტალები არ გაუმხელია. მან ამიხსნა, რომ აუცილებელი იყო მისთვის პოლიტიკაში შესვლა და რუსთავის მერობა. ისიც მითხრა, „რუსთავი 2“-ს ძალიან მალე დავიბრუნებო. ასევე, ვისაუბრეთ ფინანსებზეც, ვუთხარი, რომ არჩევნების ორგანიზებას ფინანსები სჭირდება და ამისთვის მზად თუ ხარ-მეთქი, რაზეც მიპასუხა, – არჩევნებს რამდენიც სჭირდება, მე იმის საშუალება მაქვს, რომ საარჩევნო კამპანია დავაფინანსოო. თანხა არც მე დამიკონკრეტებია და არც მას, ეს კითხვა იმიტომ დავუსვი, რომ, თუკი მას არ ჰქონდა ფინანსური შესაძლებლობა, აზრიც აღარ ჰქონდა არჩევნებში მის მონაწილეობას. იქირავა ოფისი, კონსულტანტებად აიყვანა იურისტთა ჯგუფი და ჩვეულებრივ რეჟიმში შეუდგა მუშაობას. ძალიან გავოცდი, როცა გავიგე, რომ კიწმარიშვილმა თავი მოიკლა. ამ ადამიანში ვერაფერი ვნახე ისეთი საეჭვო, რომ მისი თვითმკვლელობის საბაბი გამხდარიყო. ამას გარდა, მას ჰქონდა რეალური გეგმები და არ აპირებდა ბრძოლის შეწყვეტას. ჩნდება კითხვა, – ადამიანს, აქვს პერსპექტიული გეგმები და აპირებდა ბრძოლას „რუსთავი 2“-ის დასაბრუნებლად, ის ტელეკომპანიას საკუთარ, პირად პროდუქტად თვლიდა, ჩემთან საუბარში აცხადებდა, მიმაჩნია ჩემს ღვიძლ საქმედ და არავითარ შემთხვევაში არ დავთმობ ამ ტელეკომპანიასო.

— ხომ არ გაქვთ განცდა, რომ კიწმარიშვილი დიდ კრიმინალურ სამყაროს შეეჯახა, თუ ეს უფრო პოლიტიკურ ვენდეტას შეიძლება დავუკავშიროთ?

– ამ საკითხზე ჩემი პირადი მოსაზრება მაქვს, ეს უფრო პოლიტიკას უკავშირდება. ვფიქრობ, დიდ ინტერესებში მოხდა გადაკვეთა. როგორც ჩანს, გადალახულია წითელი ხაზები, რაც არ აპატიეს. არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ეროსი კიწმარიშვილი ვინმეს მისამართით იმუქრებოდა და მისი არსებობა უკვე საფრთხეს წარმოადგენდა. ჩემი აზრით, დაქირავებულია პროფესიონალი ქილერი, კვალი არ დატოვეს. ჩემთვის სასაცილოდ გამოიყურება პროკურატურის არგუმენტები.

— თქვენი აზრით, ვის პოლიტიკურ ინტერესებში შეიძლებოდა გადაკვეთილიყო კიწმარიშვილი?

– დრო მოვა და ამ ყველაფერს ფარდა აეხდება. მე მგონია, რომ პროკურატურის ამ დასკვნამ ძალიან ბევრი კითხვა დატოვა, არ შემოწმდა სხვა ვერსიები, გარდა თვითმკვლელობისა. თუ სასურველი შედეგის მიღება მინდა, იმ მიმართულებით ჩავატარებ გამოძიებას, რაც მიზანს გაამართლებს. ფაქტია, რომ ფართო მასშტაბით და გლობალურად გამოძიება არ განხორციელებულა და ეს არის ცალმხრივი გამოძიება. შედეგიც სახეზეა, თავიდანვე აღებული იყო კურსი თვითმკვლელობის და ბოლომდე ამ ვერსიით წავიდნენ. მე არ შემიძლია რაიმეს მტკიცება, ლოგიკურად ვამბობ. შეუძლებელია კიწმარიშვილს თავი მოეკლა და თანაც, იმ სცენარით, რაც პროკურატურამ შემოგვთავაზა. ძალიან არასერიოზულად გამოიყურება ეს ყველაფერი.

— მაინტერესებს, შემთხვევის ადგილიდან რატომ არ არის ამოღებული ყველა ვიდეოკადრი?

– ჩემთვის არ არის პროკურატურის არგუმენტი, რომ კამერები იყო დამტვერილი და შესაბამისად, ვერ მოხდა ფირზე აღბეჭდვა. სადაც მტკიცებულება ნადგურდება, იმას ნიშნავს, რომ არსებობს ეჭვები და ეს ეჭვები უნდა განადგურდეს. ვიდეოკამერებიდან ამოეღოთ ფირები და დავინახავდით, კიწმარიშვილმა მართლა მოიკლა თავი თუ არა, მაგრამ, როცა ვიდეოკამერიდან ჩანაწერს ანადგურებენ, აქ უკვე ზედმეტია საუბარი იმის მტკიცებაზე, რომ იურიდიულ ლოგიკას აქვს საფუძველი.

— ნიკა გვარამია ეჭვობს, რომ „რუსთავი 2“-ს ხელისუფლება შტურმით აიღებს. როგორც ჩანს, ეს პანიკური შიში მას შემდეგ გაუჩნდა, რაც პროკურატურამ კიწმარიშვილის საქმე დახურულად გამოაცხადა. თქვენ რას ფიქრობთ?

– ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ არჩევნებამდე ის არის გარანტი, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში მენეჯმენტი არ შეიცვლება და არ შეეხებიან. თუ მის სიტყვას რამე დაეჯერება, მაშინ არჩევნების დასრულებამდე იქ ცვლილებები არ უნდა მოხდეს, თუმცა სასამართლოს დასრულების შემდეგ აღსრულება მოხდება ძალოვანი უწყების საშუალებით, ამას გინდ შტურმი დაარქვით და გინდ, სხვა რამე. კანონიერ საფუძველზე მოხდება ახალი მეპატრონის „რუსთავი 2“-ში შესვლა. მეგონა, უფრო მეტი ჭკუა ექნებოდა „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობას. მაგალითად, ეროსი კიწმარიშვილმა „რუსთავი 2“ გაკოტრებულად გამოაცხადა, როცა ხელისუფლებასთან პრობლემები შეექმნა. მოძებნა ფორმა, რითაც მან თავი დააღწია სახელმწიფოსთან ოფიციალურ შეჯახებას. „რუსთავი 2“-ის ახალ ხელმძღვანელობას ჰგონია, რომ მხოლოდ პიარია მათი თავდაცვის საშუალება. გააკეთონ „რუსთავი 3“, დაენახვებინათ ყველასთვის, რომ სახელი არაფერს ცვლის. ის ეთერი, რაც აქვთ, დაეტოვებინათ, ხოლო ქიბარ ხალვაშს შერჩებოდა მხოლოდ სახელი. მიკვირს, ტექნოლოგიურად არ გააკეთეს ისე, რომ ყველანაირი მოტივაცია გამოეცალათ იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ ტელევიზიისთვის იბრძვის, მაშინ ამ ტელევიზიის ხელში ჩაგდებას აზრი აღარ ექნებოდა.

— ბატონო ვალერი, რას ფიქრობთ შავი სამყაროს გააქტიურებაზე? დავით გერლიანის (სვანის) საქართველოში შემოსვლის შემდეგ დეპორტს უკეთებენ კიევიდან „კანონიერ ქურდს“, მეტსახელად „გუგას“. ერთი მხრივ, ძალიან სასაცილოა, როცა გივი თარგამაძე აცხადებს, რომ ოპოზიციის წევრებზე თავდასხმების დავალებებს გასცემენ ე.წ. კანონიერ ქურდებს და „ქართულმა ოცნებამ“ განაახლა დანაშაულებრივ სამყაროსთან კონტაქტი, რადგან სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი მოვიდა „კანონიერი ქურდის“ ტარიელ ონიანის დახმარებით და გივი თარგამაძე იყო ის პერსონა, რომელიც არჩევნებს „კანონიერი ქურდების“ დახმარებით ატარებდა.

– ფაქტია, რომ ქურდულმა სამყარომ ფეხი მოიკიდა, სატელეფონო კავშირები აღდგა. სამწუხაროდ, ქურდული სამყაროს იურისდიქცია ისევ გავრცელდა, შიდა ურთიერთობებში ხშირად მიმართავენ ქურდულ სამყაროს. რა თქმა უნდა, ეს საგანგაშოა იმასთან შედარებით, რაც იყო, ჩვენ, ალბათ, მათ ვიხილავთ არჩევნებში და კანდიდატთა უმრავლესობას ეყოლება ქურდული სამყაროს ჯგუფები შექმნილი, რომლებიც ქუჩის გაკონტროლებაში დაეხმარებიან. ქურდების სახელით ეს ჯგუფი მიაკითხავს ახალგაზრდებს და ეტყვიან, კონკრეტულ უბნებში თუ ოლქებში ვის უნდა დაუჭირონ მხარი. მაგალითად, თუ ქურდი ეტყვის, რომ ამა თუ იმ მაჟორიტარს უნდა მისცენ ხმა, ეს იქნება შესრულებული. უფრო სწორად, ქურდულ სამყაროს გამოიყენებს ხელისუფლება. ამ ეტაპზე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ქურდული სამყარო არ ითანამშრომლებს, მაგაში დარწმუნებული ვარ. პირდაპირ გეტყვით, მაქვს ინფორმაცია და ვიცი რამდენიმე ოლქი, სადაც დეპუტატობის კანდიდატები აპირებენ ამ სქემით არჩევნების მოგებას. კონკრეტულად გეტყვით, მაქვს ინფორმაცია, რომ აჭარაში ერთ კონკრეტულ რაიონში ხელისუფლების წარმომადგენელს ერთი ცნობილი ქურდის იმედი აქვს. როგორც კი დასახელდებიან კანდიდატები, პირობას გაძლევთ, გახსნილად დაგელაპარაკებით და გეტყვით, კონკრეტულად რომელ რაიონში ლობირებს „კანონიერი ქურდი“ დეპუტატობის კანდიდატს. შეამოწმოს ხელისუფლებამ და ნახავენ, რომ ეს ასეა. შემთხვევით არაფერი ხდება, ქურდების მიმართ ტარდება ლოიალური პოლიტიკა იმის გამო, რომ არჩევნებში მათი მხარდაჭერა სჭირდებათ. იმდენად გაკოტრებულები არიან, რომ მათ გარეშე „ოცნება“ არჩევნებს წააგებს. როცა „ნაციონალურ მოძრაობას“ ძალაუფლება ჰქონდა, ისინიც ქურდული სამყაროს დახმარებით ატარებდნენ არჩევნებს.

> „ეს უფრო პოლიტიკას უკავშირდება. ვფიქრობ, დიდ ინტერესებში მოხდა გადაკვეთა. როგორც ჩანს, გადალახულია წითელი ხაზები, რაც არ აპატიეს. არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ეროსი კიწმარიშვილი ვინმეს მისამართით იმუქრებოდა და მისი არსებობა უკვე საფრთხეს წარმოადგენდა“

ობიექტური გამოძიების ფარგლებში, კიწმარიშვილის საქმეზე იყანიშვილიც უნდა დაკითხულიყო - ნიკა მელია

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელ ნიკა მელიას განცხადებით, პროკურატურის არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც უწყებამ ეროსი კიწმარიშვილის საქმე გახსნილად გამოაცხადა და დახურა, უსუსურია.

– სამწუხაროდ, პროკურატურამ ყველა ის ეჭვი დაადასტურა, რომელიც საზოგადოებაში არსებობდა დღიდან ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობისა. მთავარი არგუმენტი, რამაც პროკურტურა თვითმკვლელობის ვერსიამდე მიიყვანა და ამის საფუძველზე საქმე დახურა, არის ბოლთას ცემა სადარბაზოში. ბოლთას ცემს დღეს საქართველოში, ამ ხელისუფლების პირობებში, ნახევარი ქვეყნის მოსახლეობა და კრედიტი აქვს ამ ქვეყნის 60 პროცენტს.

ვფიქრობ, ესაა ძალიან სუსტი მტკიცებულება და ამას რა თქმა უნდა, არავინ დაიჯერებს. ამით პროკურატურამ დაადასტურა, რომ ის არა სახელმწიფო ინსტიტუცია, არამედ ერთი ადამიანის - ივანიშვილის სამსახურია, რომელიც სხვათაშორის, ობიექტური გამოძიების ფარგლებში აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაკითხული, - განაცხადა მელიამ. (ნიუსბოსტი)

„ნაციონალურ მოძრაობას" ჩაუვარდა თემა - პოლიტპატიმარი მერაბიშვილი და ახლა რაღაც ახალ თემებს იგონებენ"

დევნილთა და განსახლების მინისტრი მზადაა პროკურატურასთან ითანამშრომლოს. სოზარ სუბარის განცხადებით, ვანო მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში ის დაკითხვისთვის მზად არის:

– „ნაციონალურ მოძრაობას" ჩაუვარდა თემა - პოლიტპატიმარი მერაბიშვილი და ახლა რაღაც ახალ თემებს იგონებენ. გამოძიება დაწყებულია და ყველაფერს გასცემს პასუხს. სახალხო დამცველის დროინდელ საქმეებზე, 100 საქმეზე მაინც მაქვს ჩვენება მიცემული, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი სიცოცხლის ბოლომდე დაცულია ჩვენების მიცემისგან. სამინისტროს დონეზე რაც იყო შესაძლებელი, მოკვლევა ჩატარებულია, მაგრამ მოკვლევა არ ჩათვალა საკმარისად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, - განაცხადა სოზარ სუბარმა. (პირველი რადიო)

თვითონ რაც აწყობთ, იმ კანონებს კი იღებენ რიხინ-რიხინით

პრემიერ-მინისტრს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისას და დეპუტატობის კანდიდატად დარეგისტრირებისას თანამდებობიდან გადადგომა აღარ მოეთხოვება.

პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში" შესატანი ცვლილებების პროექტი დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც პრემიერ-მინისტრის აღნიშნული ვალდებულება იცვლება.

მოქმედი კანონის თანახმად, პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა, პრემიერ-მინისტრი ვალდებული იყო დაკავებული თანამდებობა დაეტოვებინა. საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ წარუდგინა.

ხმალაძე მიიჩნევს, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის პრემიერ-მინისტრის სავალდებულო გადადგომა გამოიწვევს მთავრობის გადადგომას და მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირების აუცილებლობას. საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ახალი მთავრობის ფორმირება კი, რომელიც შესაძლოა ორი თვის შემდეგ მთლიანად შეიცვალოს, კონსტიტუციური სისტემის სტაბილურობას არ შეესაბამება. (kvira.ge)

რეკლამა „ალიაში"

577 44 44 42

Credit Suisse-ის ბანკირი თანხებს პირად ანგარიშზე ირიცხავდა — „ბლუმბერგი" ბიძინა იყანიშვილის საქმეზე ახალ დეტალებს აქვეყნებს

Credit Suisse-ს სკანდალის ირგვლივ გამოცემა „ბლუმბერგი" ახალ დეტალებს აქვეყნებს. საუბარია საქმეზე, რომლის მიხედვითაც ბანკის რამდენიმე კლიენტმა, მათ შორის ბიძინა ივანიშვილმა, მილიონობით დოლარი იზარალა.

გამოცემა წერს, რომ ბანკირი, რომელსაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ასახელებენ, კლიენტების ანგარიშებიდან თანხებს საკუთარი მეუღლის ანგარიშზე რიცხავდა. პერსონალური ანგარიშები მონაკოსა და დუბაიში იყო გახსნილი.

პირველად მან თანხა 2008 წელს დუბაიში გადარიცხა, მაშინ თანხის მოცულობა 1,8 მილიონი აშშ დოლარი იყო, შემდეგ კი 2011 წელს უკვე 2,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

„ბლუმბერგი" წერს, რომ თანხა ბანკის ტოპკლიენტების ანგარიშებიდან ირიცხებოდა: ბიძინა ივანიშვილის, ვიტალი მალკინისა და კიდევ ორი რუსი მილიარდერის.

„კლიენტები ჩივიან იმ თანხის გამო, რომელიც მათ დაკარგეს, მაგრამ არაფერს ამბობენ იმ თანხაზე, რომელიც ჩემმა კლიენტმა მათ უშოვნა", - ამბობს ბანკირის ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე **Credit Suisse**-ის ბანკირი დაკავებულია და ის იანვრის შემდეგ საავადმყოფოში იმყოფება.

ბიძინა ივანიშვილს ბანკირის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი უკვე შეტანილი აქვს.

„ბლუმბერგი" წერს, რომ გასულ კვირას ივანიშვილის კომპანიას **Wellminstone SA** დაზარალებულისა და მსხვერპლის სტატუსი გამოძიებამ ოფიციალურად მიანიჭა, ეს კი ადვოკატებს მეტ ინფორმაციაზე წვდომის საშუალებას მისცემს.

უცხოური მედიის ინფორმაციით, ბიძნა ივანიშვილის ზარალი 100 მილიონს აღწევს. საქმეში ბევრი დეტალი ბუნდოვანია, თუმცა ცნობილია შემდეგი: 2006 წელს, ფინანსურმა მრჩეველმა თავისი კლიენტებისთვის, უძრავი ქონების აქციების დამატება დაიწყო. ამ მიზნით, მან შვილობილი ანგარიშები შექმნა, რომლის შესახებაც მისი კლიენტები ინფორმირებულები არ იყვნენ. მას შემდეგ, რაც ფინანსური კრიზისის დროს, უძრავი ქონების დეველოპერი **Meinl**-ის ბირჟა ჩამოიშალა, ბანკირმა ნაცვლად იმისა, რომ დანაკარგი ეღიარებინა, ანგარიშის შევსება ბიძინა ივანიშვილის ფულით დაიწყო. მან დაახლოებით 100 მილიონის გადარიცხვა მოახდინა სხვა კლიენტების ანგარიშებზე. ივანიშვილის ადვოკატი აღნიშნავს, რომ თანხის გადარიცხვის შესახებ ინფორმაცია ივანიშვილს არ ჰქონდა.

თავად ივანიშვილმა საქმეზე პირველი კომენტარი ჟურნალისტებთან შეხვედრისას 14 ივნისს გააკეთა.

– მე არ დამიკარგავს 100 მილიონი, ის დაკარგა ბანკმა. მიდის გამოძიება და ველოდები პროცესებს. იქნებ ბანკი ნაკლებად დაზარლდეს, - განაცხადა მაშინ ივანიშვილმა. (businesscontact.ge)

„არ მგონია, პოლიტიკოებს ჰქონდეთ რაიმე განცხადება უფრო კომპეტენტური, ვიდრე პროკურატურას"

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვლოსკი მიიჩნევს, რომ პროკურატურის დასკვნა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ფაქტზე, დამყარებულია მასალებზე, რომელსაც საგამოძიებო უწყებაში დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდნენ.

– ორი აზრი არ არსებობს, პროკურატურის დასკვნა ემყარება გარკვეულ მასალებს, რომლებსაც დიდი ხანია სწავლობდნენ და აფასებდნენ. აქედან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ოჯახს, ახლობლებს და ძალიან გული მწყდება, რომ ეს ადამიანი აღარ არის ცოცხალი. ამასთან დაკავშირებით, მე არ მგონია, რომ პოლიტიკოებს ჰქონდეთ რაიმე განცხადება უფრო კომპეტენტური, ვიდრე პროკურატურას, - განაცხდა ვოლსკიმ. (news.ge)

● ეს საქმე ასე თუ ისე მივიდა ბოლომდე და კმაყოფილიც ჩანს საპარლამენტო უმრავლესობა, თუმცა უამრავი კითხვა მაინც რჩება — ეს ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ „ოცნებას" სხვა არანაკლებ ხმაურიანი საქმეების გახსნა-დასრულების პირობა აქვს დადებული, მაგრამ ამდენი წელი გავიდა და შედეგი კვლავაც არ ჩანს!

„27 მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურების ხარჯები კანონით განსაზღვრულ ოდენობაზე მეტია“ - გიორგი ცაგარეიშვილი

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ცაგარეიშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევის შედეგებზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ქვეყნის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ადგილი აქვს ფინანსური რესურსების არამიზნობრივ ხარჯვას იმ დროს, როდესაც რეგიონების მოსახლეობა უკიდურეს სიდუხჭირეშია.

– 27 მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურების ხარჯები კანონით განსაზღვრულ ოდენობაზე მეტია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლი მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25 პროცენტს.

„თავისუფალი დემოკრატები" ვეყრდნობით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევას, რომელმაც შეისწავლა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და რეგიონების მიხედვით წარმოადგინა ინფორმაცია იმ მუნიციპალიტეტებზე, რომელთაც კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა შრომის ანაზღაურების ხარჯების განსაზღვრისას არ აქვთ გათვალისწინებული. კერძოდ: სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, აჭარა, იმერეთი, ქვემო ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი. ჩამოთვლილი რეგიონებიდან განსაკუთებით მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით გამოირჩევიან:

აჭარა – შუახევის მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საბიუჯეტო ხარჯების 32,05 პროცენტია (შრომის ანაზღაურება - 1 348 160 ლარი

- ქედის მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საბიუჯეტოხარჯების 52,35 პროცენტია (შრომის ანაზღაურება - 2 563 700 ლარი.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – - ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საბიუჯეტო ხარჯების 34,94 პროცენტია (შრომის ანაზღაურება 1 283 300 ლარი;

- ონის მუნიციპალიტეტში შრომის ანზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საბიუჯეტო ხარჯების 35,89 პროცენტია (შრომის ანაზღაურება 985 900 ლარი;

ლენტეხის მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საბიუჯეტო ხარჯების 33,38 პროცენტია (შრომის ანაზღაურება 992 900 ლარი

სამცხე-ჯავახეთი: ასპინძის მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საბიუჯეტო ხარჯების 32,02 პროცენტია - 932 800 ლარი;

ნინოწმინდაში შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საიბუჯეტო ხარჯების 32,94 პროცენტია 1 315 300 ლარი.

ქვემო ქართლი - წალკის მუნიციპალიტეტი - შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული თანხა საბიუჯეტო ხარჯების 33,61 პროცენტია (შრომის ანაზღაურება 1 3403 00 ლარი. (ნიუპოსტი)

რამ გამოიწვია ლარის კვლავ გაუფასურება?

ერთ თვიანი გამყარების შემდეგ, ბოლო რამდენიმე დღეა ლარი გაუფასურებას განაგრძობს.

რა იწვევს ლარის კურსის ასეთ ცვლილებას და ხომ არ არის ეს გამოწვეული ხელოვნური ფაქტორებით? ეკონომისტი ბესო ნამჩავაძე განმარტავს:

– წინა დღეების შედეგების მიუხედავად, როცა გამყარების ტენდენცია იყო, აშკარაა, რომ კურსი არ იყო სტაბილური.

როდესაც კურსი დღეში რამდენიმე თეთრით იცვლება, ეს ნიშნავს, რომ ჯერ თავის წონასწორობისთვის არ მიუღწევია. ჩვენ გვახსოვს, რომ კურსი იყო 1,65 ან 1,74 და მთელი წლის განმავლობაში თითქმის ერთი და იგივე ნიშნული ფიქსირდებოდა. აქედან გამომდინარე, როდესაც მაღალია მერყეობა, დიდია იმის ალბათობა, რომ კურსმა არა მარტო გამყარების მიმართულებით შეინარჩუნოს წონასწორობა, არამედ პირიქით, გაუფასურების მიმართულებითაც.

ბოლო დღეებში რაიმე მნიშვნელოვანი რყევები არ ყოფილა, რაც შეეხება სხვა მაკროეკრონომიკურ მაჩვენებლებს, ლარის გაუფასურების ერთადერთი მიზეზი, რაც შეიძლება ვივარაუდოთ, ალბათ, არის რაიმე მსხვილი გადარიცხვები საზღვარგარეთ, ან მსხვილი საიმპორტო შესყიდვა ან საგარეო სესხი დაიფარა და საჭირო გახდა ერთდროულად ბევრი დოლარის შესყიდვა, - ამბობს ბესო ნამჩავაძე.

მისივე თქმით, როდესაც კურსი მყარი არ არის, ყოველგვარი ხელოვნური მიზეზების გარეშე შესაძლებელია მისი აწევა ან დაწევა.

– ეს არის ბუნებრივი პროცესი. ვერ ვიტყვი, რომ ხელოვნური მიზეზებით არის გამოწვეული. თუ ვინმე სპეკულაციას აკეთებს, ამასაც ვერ გამოვრიცხავ, მაგრამ როდესაც კურსი მყარი არ არის და დიდი მერყეობით ხასიათდება, მოსალოდნელია ერთ თვეში მისი 4-5 თეთრით გაუფასურება. (allnews.ge)

ლორთქიფანიძის პიჯაკის დაზიანების საქმე - „თავისუფალი ზონის“ წევრები შესაძლოა, პატიმრობაში დააბრუნონ

„თავისუფალი ზონის“ წევრები კახაბერ გაბუნია, ნიკა ნარსია და მირიან დეისაძე, შესაძლოა, ისევ პატიმრობაში დააბრუნონ.

დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის პიჯაკის დაზიანების საქმეზე, პროკურორი ზიტა ჭულუხაძე ინციდენტში მონაწილეთა პატიმრობას ითხოვს.

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები სახელმწიფო ბრალმდებლის ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ.

– როცა ხელისუფლება იწყებს ადამიანთა დევნას, დაჭერასა და ცემას, მისი დასასრული არის ძალიან ახლოს. ჩვენ ამ ხელისუფლებას დავასრულებთ 8 ოქტომბერს, - აცხადებს ნიკა ნარსია.

პროკურორმა ზიტა ჭულუხაძემ „თავისუფალი ზონის“ წევრების პატიმრობა მიმდინარე წლის 20 ივნისის სასამართლო პროცესზე მოითხოვა. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს 9 აგვისტოს ჩანიშნულ პროცესამდე, სადაც დაცვის მხარემ მტკიცებულებები უნდა წარადგინოს, პატიმრობა არ ემუქრებათ.

„თავისუფალი ზონის“ სამი წევრი 2015 წლის 2 ოქტომბერს დააკავეს. მათ ბრალად დეპუტატის შეურაცხყოფა და პიჯაკის დაზიანება ედებოდათ. ისინი 3000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გასული წლის 25 დეკემბერს გაათავისუფლეს. (ნიუპოსტი)

ნაფიც მსაჯულთა პროფესიული წრე შესაძლოა, გაიზარდოს - ინიციატივას „რესპუბლიკელები“ და ოპოზიცია არ ეთანხმებიან

ნაფიც მსაჯულთა პროფესიული წრე შესაძლოა, გაიზარდოს. მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტით ნაფიც მსაჯულად შეიძლება შეირჩეს გამომძიებელი, პოლიციელი, იურისტი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრიც. ცვლილებებს მხარს არ უჭერენ „რესპუბლიკელები“ და კანონპროექტი მიუღებელია ოპოზიციისთვისაც.

მათი შეფასებით, ამ ადამიანებმა თანამდებობრივი სტატუსით და ცოდნით შესაძლოა, გავლენა მოახდინონ სხვა მსაჯულების გადაწყვეტილებაზე, რაც საბოლოოდ, ვერდიქტზეც აისახება.

უმრავლესობაში კი მიიჩნევენ, რომ პროფესიის მიუხედავად, ამ ადამიანებსაც უნდა მიეცეთ ნაფიც მსაჯულად ყოფნის უფლება.

– არ უნდა მოხდეს მოქალაქეებისთვის პროფესიის მიხედვით, იმ უფლებების შეჩერება, რაც ზოგადად მისაღებია ყველასთვის, - განაცხადა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა. (ნიუპოსტი)

სს „ხრამჰესი 1“ განმეორებით აცხადებს №X1-2016-9 ფასთა ღია გამოკითხვას პერსონალისათვის სპეც. ტანსაცმლისა და სპეც. ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ან დაუკავშირდით ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 7 ივლისი 15 საათი.

სს „ხრამჰესი 2“ განმეორებით აცხადებს №X2-2016-11 ფასთა ღია გამოკითხვას პერსონალისათვის სპეც. ტანსაცმლისა და სპეც. ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ან დაუკავშირდით ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 7 ივლისი 15 საათი.

„პაპიძე იტყუებოდა, რომ მკვლელობის ღამეს ქმარს ტელეფონზე ელაპარაკა, მას ინტენსიური კავშირები ბერძენიშვილთან ჰქონდა“

ბოლო დროის ყველაზე სასტიკი მკვლელობის მიმართ საზოგადოების ინტერესი არ ცხრება. 27 წლის ქმრისა და 5 წლის შვილის მკვლელობისთვის ახალგაზრდა ქალს, მაგდა პაპიძეს ასამართლებენ. საქმეს ბრალდებულის მოთხოვნით ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ. საქალაქო სასამართლოში კი გახმაურებული საქმის მოწმეებს კითხავენ.

მორიგ პროცესზე იმ მაღაზიის გამყიდველი დაიკითხა, რომლისგანაც გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებულმა 25 ლარად მკვლელობის ირაღი - ურო შვილთან, მოკლულ თორნიკე ქაფიაშვილთან ერთად შეიძინა.

სასტიკი მკვლელობის საქმეზე საქმის გამომძიებელ ნუგზარ ნათელაშვილს მოუსმინეს. მისი თქმით, ბრალდებულის პირველი ჩვენება რადიკალურად განსხვავდებოდა შემთხვევის ადგილზე ნანახი სურათისგან.

– სახლში იყო სისხლის კვალი და ამიტომ პირდაპირი ეჭვი იყო პაპიძეზე, მაგრამ რადგან ეჭვის საფუძველზე დაკავების უფლება არ გვქონდა, ვეძებდით სამხილებს დანაშაულის ადგილზე. ვიპოვეთ ურო... - აღნიშნა გამომძიებელმა.

მისი თქმით, 2015 წლის 22 დეკემბერს, როცა აღკვეთი ღონისძიების სახით მაგდა პაპიძე იკითხებოდა, ბრალდებულის და დამიკავშირდა, რომელიც სქმის მიმდინარეობით დაინტერესდა და ასევე, პაპიძე შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სამკაულებიც მოიკითხა. ნუგზარ ნათელაშვილმა ლანა პაპიძესთან შეხვედრაც აღწერა და თქვა, რომ ბრალდებულის და თავიდან აცხადებდა, რომ მკვლელობა განსასჯელის ჩადენილი იყო.

– ლანას ვკითხე, ხომ არ ეჭვობდა, რომ ეს მაგდას ჩადენილი იყო? მან თქვა, რომ ეს მაგდას ჩადენილიაო, როცა დედას დავურეკე თურქეთში, მანაც პირდაპირ მაგდაზე მიიტანა ეჭვიო, - განაცხადა გამომძიებელმა.

მისივე განცხადებით, ლანა პაპიძემ გამოძიებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მაგდა პაპიძეს მეგობარი მამაკაცი, ვინმე ოთო ჰყავდა.

– მოგვიანებით დავკითხეთ ოთარ ბერძენიშვილი. ბუნებრივია, მუშავდებოდა ვერსია, იქნებ, მაგდა პაპიძეს ჰყავდა თანამზრახველი. გადავამოწმეთ ბერძენიშვილის ჩვენება, როცა თქვა, რომ იმ დღეს იყო ორთაჭალაში და სახლში გვიან დაბრუნდა. ვნახეთ სატელეფონო ამონაწერები და სატელეფონო ანძები, ის იმ დროს მართლაც ორთაჭალაში იმყოფებოდა. ღამის 3 საათზე დაბრუნდა სახლში, 03:13 წუთზე კი მის ტელეფონზე მაგდა პაპიძის ზარი შევიდა.

შესწავლილია მაგდა პაპიძის ნომერიც, მისი სატელეფონო კავშირების გაშიფვრისას დავრწმუნდით, რომ პაპიძე იტყუებოდა, როდესაც ამბობდა, რომ მკვლელობის ღამეს ქმარს ტელეფონზე ელაპარაკა, თუმცა 19 დეკემბერს ინტენსიური სატელეფონო კავშირები ჰქონდა ოთარ ბერძენიშვილთან. მკვლელობის დღეს ქმარს დაურეკა მხოლოდ ერთხელ 15:20-წუთზე. 17:00-დან 19:00 საათამდე მის ტელეფონზე ზარი არ შედის და 19:00 საათის მერე ინტენსიურად წერს მეზობელ ნანა ტუხაშვილს, რომლისთვისაც თმა უნდა შეეღება.

ასევე, გაიშიფრა დედამთილთან, დარეჯან მინდიკაურთან მიწერილი შეტყობინებები. მაგდა პაპიძე დედამთილს წერს, რომ ომარი და ბავშვი მოდიან, დაიძინეო, რეალურად კი ამ დროს მეუღლესთან კავშირი ვერ ექნებოდა, რადგან ის უკვე გარდაცვლილი იყო. პაპიძე ჯერ 17:07 წუთზე ურეკავს ბერძენიშვილს და ბოლოს ურეკავს 03:13 წუთზე, მას სხვასთან არ დაურეკავს. არც ის დადასტურდა, რომ თითქოს მაგდა პაპიძემ პატრულში დარეკა. გაიშიფრა ომარ ქაფიაშვილის სატელეფონო საუბრებიც. ლანა პაპიძე თავის ჩვენებაში ამბობს, რომ სიძეს ვიღაცამ დაურეკა და მისი ზარის გამო გავიდა სახლიდანო, არც ეს დადასტურდა, რადგან 16:00 საათიდან ომარ ქაფიაშვილის ტელეფონზე არავის დაურეკავს, - განმარტა გამომძიებელმა.

ნათელაშვილმა პროცესზე პაპიძის სასიყვარულო ხელნაწერებზეც ისაუბრა.

– 25 დეკემბერს დამირეკა ომარ ქაფიაშვილის ძმამ, მალხაზ ქაფიაშვილმა, რომელმაც წარმიდგინა პატარა თორნიკეს ქურთუკები და პარკში ჩაწყობილი გირჩები, ბუმბული, ხელნაწერები, მონადირის ქანდაკება და მითხრა, რომ კარადაში აღმოაჩინა. ეს იყო პაპიძის სასიყვარულო ხელნაწერები, სადაც საუბარია ვიღაც მონადირეზე, და ამ მონადირეს პაპიძე ოთარ ბერძენიშვილს უწოდებდა.

გამომძიებლის მიერ სასიყვარულო წერილების ხსენების შემდეგ სხდომა ბრალდებულის ადვოკატების მოთხოვნის საფუძველზე დაიხურა. (ნიუპოსტი)

საარჩევნო პერიოდში სპეცუბნების გახსნა კანონით იკრძალება

პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა „საარჩევნო კოდექსში" ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვით, არჩევნების პერიოდში იკრძალება სპეციალური უბნების შექმნა თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების, ასევე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ქვედანაყოფების ტერიტორიაზე.

საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილს ცვლილებებს მხარი 80-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ასევე, ცვლილებებით რეგულირდება გამონაკლის შემთხვევაში საარჩევნო უბნის შექმნის საკითხი (პენიტენციური დაწესებულებები, სათნოების სახლი, საავადმყოფოები და ასე შემდეგ).

ზუსტდება სპეციალურ საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის წესი. (kvira.ge)

„ნატოს აგრესიულ ქმედებებზე საპასუხოდ, რუსეთმა თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს“

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთის საზღვრებთან ნატოს აგრესიულ ქმედებებზე საპასუხოდ, რუსეთმა საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს.

ამის შესახებ პუტინმა სახელმწიფო დუმაში სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა.

– ისეთი მნიშვლნელოვანი საკითხის განსახილველად, როგორიც კოლექტიური უსაფრთხოების თანამედროვე, ბლოკგარეშე სისტემის შექმნაა, ჩვენ მზად ვართ და არაერთხელ გამოვხატეთ მზადყოფნა დიალოგისთვის, მაგრამ როგორც მეორე მსოფლიო ომამდე, დღესაც ვერ ვხედავთ საპასუხო დადებით რეაქციას, - განაცხადა პუტინმა. (ნიუპოსტი)

სოციალურ მუშაკს ბავშვის მოძალადე ოჯახის წევრისგან განცალკევების უფლება მიენიჭა

პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ძალადობის შემთხვევაში, სოციალურ მუშაკს ბავშვის მოძალადე ოჯახის წევრისგან განცალკევების უფლებას ანიჭებს.

სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა კი გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7-დღემდე ვადით, ან გამოსასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით.

პროექტის თანახმად, ბავშვის მოძალადე ოჯახის წევრისგან, კანონიერი წარმომადგენლისა თუ სხვა პირისგან განცალკევება უკიდურეს ზომას წარმოადგენს.

ბავშვის განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არასრულწლოვნის აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული, მისი ასაკისა და სიმწიფის ხარისხის მიხედვით.

14 წელს მიღწეულ არასრულწლოვანს უფლება აქვს, საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართოს.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების მიხედვით, მოძალადე სუბიექტად მიიჩნევა „სხვა პირიც“, რომელიც შესაძლოა, არასრულწლოვნის მშობელი, ან კანონიერი წარმომადგენელი არ იყოს, მაგრამ ბავშვზე ძალადობის სხვადასხვა ფორმას ახორციელებდეს. (kvira.ge)

ნიკა გვარამია სააპელაციო სასამართლოს კანონდარღვევაში ადანაშაულებს

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სააპელაციო სასამართლოს კანონდარღვევაში ადანაშაულებს. როგორც გვარამიამ განაცხადა, სააპელაციო სასამართლომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მხარეებს ფოსტის საშუალებით გაუგზავნა, რაც სასამართლოს არ ევალება.

– მიუხედავად იმისა, რომ კანონი ადგენს, რომ გადაწყვეტილების ჩაბარება მხარის ვალდებულებაა და გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა, მხარე თავად უნდა მივიდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილება, მხარემ თავად უნდა გადაწყვიტოს ამ შუალედში როდის ჩაიბაროს განაჩენი. ცხადია, ჩვენ 30-ე დღეს მივიდოდით და ბოლომდე გამოვიყენებდით ვადებს. ამის მიუხედავად, სასამართლომ თვითონ გამოგვიგზავნა გადაწყვეტილება, რომელიც როგორც აღმოჩნდა, დაწერა 12 დღეში და შედგება 71 გვერდისგან. გადაწყვეტილება ჩვენ არ ჩაგვიბარებია, იმდენად, რამდენადაც კანონის დარღვევაა, სასამართლო გადაწყვეტილების გაგზავნის ინსტიტუტს არ იცნობს. ამ ყველაფრის რეალური შედეგი არის ის, რომ სასამართლოს მცდელობით ჩვენ 18 დღე მოგვპარეს გასაჩივრებისთვის. ეს არის ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მოპარული ვადაც, იმისთვის, რომ მან ვერ მოასწროს გადაწყვეტილების გამოტანა 54-ე მუხლთან დაკავშირებით, - განაცხადა ნიკა გვარამიამ. (ინტერპრესნიუსი)

„ივანიშვილისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებამდე „რუსთავი 2“ გამოირთოს“ - პოლიტიკოსები

სააპელაციო სასამართლოს მიერ „რუსთავი 2“-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ტელევიზიის ადვოკატებისთვის გადმოგზავნას პოლიტიკოსები ეხმაურებიან.

– ბიძინა ივანიშვილისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრამდე „რუსთავი 2“ გამოირთოს, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სალომე სამადაშვილმა.

პოლიტიკური მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ წევრი ხათუნა ლაგაზიძე აცხადებს, რომ ხელისუფლება ცდილობს, არჩევნები თავისუფალი მედიის გარეშე ჩაატაროს.

– ხელისუფლება ცდილობს არჩევნები ჩაატაროს თავისუფალი მედიის გარეშე. ეს არის თავისუფალი მედიასივრცის სრული გაკონტროლების პროცესი ხელისუფლების მხრიდან. ეს არის ხელისუფლების მხრიდან საკუთარი შიშისა და მარცხის აღიარება, - ამბობს ლაგაზიძე.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრ ნინო გოგუაძის თქმით, ხელისუფლება „რუსთავი 2“-ის ხელში ჩასაგდებად ემზადება.

– ცხადია, რომ ეს ხელისუფლება, რომელიც ვერ იღებს ძალიან მარტივ საკითხებზეც კი გადაწყვეტილებას თვეების განმავლობაში, ძალიან ფორსირებულად წარმართავს პროცესებს „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ და ვადებსაც კი არღვევს. ფაქტია, რომ ხელისუფლება ემზადება „რუსთავი 2“-ის ხელში ჩასაგდებად, - აღნიშნა გოგუაძემ. (ნიუპოსტი)

აბსურდები, რაც პროკურატურას ეროსი კიწმარიშვილის საქმის დახურვისას გაეპარა...

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

მთავარმა პროკურატურამ ეროსი კიწმარიშვილის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების საქმეზე გამოძიება დაასრულა. პროკურატურის განცხადებით, გამოძიებით დადასტურდა, რომ კიწმარიშვილმა თავი მოიკლა. პროკურატურა აცხადებს, რომ ეროსი კიწმარიშვილს ვალები ჰქონდა, ჯამში, 312 000 დოლარი და 120 000 ლარი, ხოლო მისი ბინა იპოთეკით იყო დატვირთული. „ეროსი კიწმარიშვილს არ გააჩნდა საკმარისი შემოსავალი ამ დავალიანების დასაფარად", – აცხადებს პროკურატურა.

აქცია. 1997 წლიდან მის გამო არაერთი სასამართლო პროცესი გადაიტანა, წაართვეს-დაიბრუნა, დაუხურეს-აღადგინა. და აი, ეს ნალოლიავები, რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარად ღირებული ტელევიზია წაართვეს და მაშინ არ მოუკვლავს თავი და 366 000-მდე დოლარი ვალის გამო მოიკლა? ამ 366 000 დოლარის და ათჯერ მეტის გასტუმრების რესურსი ჰქონდა კიწმარიშვილს და აბსურდია პროკურატურის მტკიცება, რომ ის ფინანსურ პრობლემებს ვერ უმკლავდებოდა. მერედა, საქართველოში უამრავ ადამიანს აქვს ვალი, ბევრს სახლს უყიდიან და ყველა თავს იკლავს?

ეროსი კიწმარიშვილის ოჯახს, ჰქონდა. 2013 წლის 4 ივნისს „სოტბის" აუქციონზე ლადო გუდიაშვილის სურათი „ცდუნება" 782 000 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა, იმავე „სოტბის" აუქციონზე 2012 წელს ლადო გუდიაშვილის ტილო „შავი ნაკადული" გაცილებით ძვირად, 937 000 გირვანქა სტერლინგად შეიძინეს. დავუშვათ, ლადო გუდიაშვილის ის ტილო, რომელსაც ეროსი კიწმარიშვილი ფლობდა, ამდენად ძვირი არ ღირდა, მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ გუდიაშვილის სურათები ძალიან ძვირი ღირს და რაც ზემოთ მოგახსენეთ, ეს ამის დასტურია? 200 000 გირვანქა მაინც ხომ იქნება ეროსი კიწმარიშვილის ლადო გუდიაშვილის ტილოს სააუქციონო ფასი და ეს უკვე ვიცით, მაგრამ თავად ეროსი კიწმარიშვილმა ხომ იცოდა, თითო სურათში რამდენი გადაიხადა და თუ რომელიმე მათგანი აჩუქეს, მისი სავარაუდო ფასიც ეცოდინებოდა და შინაურებში ამის შესახებ საჭირო დროს საუბრობდა.

ზემოთ ნახსენები ქონების საფუძველზე მაქვს სრულიად ლოგიკური ეჭვი, რომ მთავარმა პროკურატურამ ვერ გახსნა, ჩემი ვარაუდით, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა და გამოაცხადა, რომ მან თავი ვალების გამო მოიკლა. თქვე დალოცვილებო, თუ საქმის შეკერვას აპირებდით, რაც, ჩემი აზრით, სწორედ ასეა, ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობის უფრო დამაჯერებელი მოტივი ესაუბრა. ცხადია, ტელეკომპანიასაც დიდი ფული სჭირდება და ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ეროსი კიწმარიშვილი დააფინანსებდა ამ ტელევიზიას. ამ ორივე შემთხვევიდან გამოდის, რომ ამ კაცს სოლიდური თანხები ჰქონდა. კი, ბატონო, შესაძლებელია, ტელეკომპანიის შესაქმნელ ფულს სხვა ბიზნესმენი ან ბიზნესმენები დებდნენ, ეროსი საკუთარი მენეჯერული გამოცდილებით იქნებოდა ტელეკომპანიის მეწილე, ანდა, ბოლოს და ბოლოს, დაქირავებული მენეჯერი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დასტურდება, რომ მას სასიკვდილოდ ნამდვილად არ ეცალა და სერიოზული გეგმები ჰქონდა.

პროკურატურის განცხადებით, ასევე, კიწმარიშვილის კომპიუტერში არსებობს ჩანაწერები, რომლებიც ადასტურებს, რომ მას სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა და მათ ვერ უმკლავდებოდა.

პროკურატურის მტკიცებულებას არ ეთანხმება ეროსი კიწმარიშვილი ძმა: „ვალი ჰქონდა, აღებული ჰქონდა სესხი, რომლითაც ის გარკვეულ ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა, რომელიც ახალი დაწყებული ჰქონდა და ძალიან მეუხერხულება ამ თემაზე საუბარი. ეს არ იყო ის არგუმენტი, პრობლემა და დილემა, რომელსაც ეროსი ვერ გადაწყვეტდა. გეგმები ჰქონდა, ბიზნესით, ფაქტობრივად, ერთობოდა. ეს საქმე ერთი წლის დაწყებული ჰქონდა, გახსნა რესტორნები და კაფე, სხვა მიმართულებით მას სერიოზული პოლიტიკური გეგმები ჰქონდა. ვფიქრობ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მისი ეს გააქტიურება".

მთავარი პროკურატურის მტკიცებულებას, რომ ეროსი კიწმარიშვილმა ვალების გამო მოიკლა თავი, ახლავე გამოვაცლი საფუძველს და გავაცამტვერებ. ჯერ ერთი, ვინც ეროსი კიწმარიშვილს იცნობდა, არავინ დაიჯერებს, რომ ეს კაცი ფულის გამო მოიკლავდა თავს. 2004 წელს ტელეკომპანია „რუსთავი 2" წაართვა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც რეგიონული მაუწყებლიდან ქვეყნის ყველაზე რეიტინგულ ტელევიზიად

ვაკეში, ჭავჭავაძის 75-ში, აქვს 5-ოთახიანი ბინა საკუთარი ავტოფარეხით, რომელიც, მინიმუმ, 200 000 დოლარი ღირს. ასევე, ჰქონდა აგარაკები გუდაურსა და ბათუმში და თითოეული, მინიმუმ, 100 000 დოლარი ღირს, კიდევ ფლობდა მშობლიური სახლს რუსთავში და ეს სახლი, მინიმუმ, 40-50 ათასი დოლარი ღირს. აგერ, 440-450 ათასი დოლარი მარტო იმ სახლების საფასურია, რომელთაც საქართველოში ფლობდა ეროსი. გარდა ამისა, მას ამერიკაში ჰქონდა სახლი, რომელიც 2 წელიწადზე მეტი გაქირავებული ჰქონდა და ეს „ალიას" ეროსის ძმამ, ზურაბ კიწმარიშვილმა დაუდასტურა. ამ სახლის ფასი, გავრცელებული ინფორმაციით, მინიმუმ, 2 მილიონი დოლარია და ამას დაუმატეთ წლების მანძილზე აღებული ქირაც. ეროსი კიწმარიშვილი ფლობდა ფერწერული ტილოების კოლექციას, რომელიც ძალიან ძვირად ფასობს, ექსპერტებს ეს კოლექცია არ შეუფასებიათ. სამაგიეროდ, ზურაბ კიწმარიშვილმა დაგვიდასტურა, რომ მისი ძმის კოლექციაში ცნობილი ქართველი მხატვრების ტილოებია და მათ შორის, ნამდვილად არის ლადო გუდიაშვილისა და ზურაბ კაკაბაძის, მინიმუმ, თითო ნამუშევარი.

მოდით, დროებით, სხვა მხატვრებს თავი დავანებოთ და დავუშვათ, ეროსი კიწმარიშვილს ლადო გუდიაშვილის მხოლოდ ერთადერთი ფერწერული ტილო

350 000 დოლარია. ეროსის ჰყავდა „ღ" კლასის 2013 წელს გამოშვებული „მერსედესი" და მისი საბაზრო ღირებულება 80 000 დოლარი მაინც იყო. ის ფლობდა რესტორანს და კაფეს თბილისში, რომლებიც ნორმალურად მუშაობდნენ და მისთვის საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც შემოჰქონდათ. ეროსი კიწმარიშვილის სხვა ქონებას აღარ მოვიკითხავ და მარტივ კითხვას დავუსვამ მთავარ პროკურორს, ირაკლი შოთაძეს: ბატონო ირაკლი, ამხელა ქონებისა და შემოსავლების პატრონი რომ 366 000 დოლარის გამო თავს იკლავდეს, ეს მართლა საფუძვლიანად, ლოგიკურად მიგაჩნიათ თუ დაგვცინით? ეროსი კიწმარიშვილს, ბანკების 366 ათასი დოლარი ვალი რომ გაესტუმრებინა, საკმარისი იყო, ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილო და ავტომობილი გაეყიდა, ვალს გაისტუმრებდა და ფული აქეთაც დარჩებოდა. წეღან გაკვრით ვახსენე ეროსის ფერწერული ტილოების კოლექცია და ახლა, მოდით, მას გამოვაკლოთ ლადო გუდიაშვილის ტილო და იცით, რა ეღირება? მინიმუმ, რამდენიმე ასეული ათასი დოლარი და შესაძლოა, მილიონ დოლარზე მეტიც და ამას თავად ეროსი ამბობდა. ეს ფაქტიც დაუდასტურა „ალიას" ზურაბ კიწმარიშვილმა. კი, ვიმეორებ, თითოეული სურათის ექსპერტიზა არ ჩატარებულა და არ შეფასებულა, შესაბამისად, ზუსტად რა ღირდა კოლექცია, არ

ვიცით, მაგრამ თავად ეროსი კიწმარიშვილმა ხომ იცოდა, თითო სურათში რამდენი გადაიხადა და თუ რომელიმე მათგანი აჩუქეს, მისი სავარაუდო ფასიც ეცოდინებოდა და შინაურებში ამის შესახებ საჭირო დროს საუბრობდა.

ზემოთ ნახსენები ქონების საფუძველზე მაქვს სრულიად ლოგიკური ეჭვი, რომ მთავარმა პროკურატურამ ვერ გახსნა, ჩემი ვარაუდით, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა და გამოაცხადა, რომ მან თავი ვალების გამო მოიკლა. თქვე დალოცვილებო, თუ საქმის შეკერვას აპირებდით, რაც, ჩემი აზრით, სწორედ ასეა, ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობის უფრო დამაჯერებელი მოტივი

ეროსი კიწმარიშვილი თავის მოკვლას რომ არ აპირებდა, ამას მისი მეგობრები და თანამოაზრენიც ადასტურებენ. ბადრი ნანეტაშვილი, გიორგი ხევიაშვილი და სხვები აცხადებდნენ, რომ ეროსი პოლიტიკურ აქტივობას აპირებდა და ამ მიმართულებით სერიოზული გეგმებიც ჰქონდა. პოლიტიკას კი დიდი ფული სჭირდება და კაცს, რომელსაც იმდენი ვალი აქვს, რომ მის გადახდას ვერ აუდის, პოლიტიკისთვის არ სცხელა. გარდა ამისა, სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე, ეროსი ტელეკომპანიის გახსნას აპირებდა. მეტიც, ის უკვე აგროვებდა ჟურნალისტთა გუნდს ამ ტელევიზიისთვის. „რუსთავი 2"-ის ყოფილ და იმჟამინდელ ჟურნალისტებს შეხვდა და

შეგეთხზათ. რა, ფანტაზია არ გეყოთ? თუ ის დავიჯერო, ეროსის ქონებისა და შემოსავლის ის ნაწილი, რაც აქ ჩამოვთვალე, ამ საქმის გამომძიებლებისა და ზედამხედველი პროკურორისთვის უცნობი იყო? ახლა პროკურატურა იცით, რას გვიმტკიცებს? ეროსი კიწმარიშვილისთვის დატოვებული ქონება უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე სიცოცხლე, მათ ვერ შეელია, არ გაყიდა, ვალი არ გაისტუმრა და სიცოცხლე დათმოო. ან მეორეს გვეუბნება, ეროსი კიწმარიშვილმა ვერ მოიფიქრა, რომ გაეყიდა საკუთარი ქონების მცირე ნაწილი და ვალების გამო მოიკლა თავიო. ერთიც სისულელეა და მეორეც.

ეროსი კიწმარიშვილი თავის მოკვლას რომ არ აპირებდა, ამას მისი მეგობრები და თანამოაზრენიც ადასტურებენ. ბადრი ნანეტაშვილი, გიორგი ხევიაშვილი და სხვები აცხადებდნენ, რომ ეროსი პოლიტიკურ აქტივობას აპირებდა და ამ მიმართულებით სერიოზული გეგმებიც ჰქონდა. პოლიტიკას კი დიდი ფული სჭირდება და კაცს, რომელსაც იმდენი ვალი აქვს, რომ მის გადახდას ვერ აუდის, პოლიტიკისთვის არ სცხელა. გარდა ამისა, სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე, ეროსი ტელეკომპანიის გახსნას აპირებდა. მეტიც, ის უკვე აგროვებდა ჟურნალისტთა გუნდს ამ ტელევიზიისთვის. „რუსთავი 2"-ის ყოფილ და იმჟამინდელ ჟურნალისტებს შეხვდა და

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ „თეთრი ლაქებისა", რაც პროკურატურის განცხადებაშია. ეროსი კიწმარიშვილი გარდაცვლილი საკუთარ მანქანაში ნახეს, რომელიც მისავე ავტოფარეხში იდგა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ეროსიმ სათვალთვალო კამერა დააყენა ავტოფარეხში, რომელიც, ცხადია, მის ავტოსადგომს უყურებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სათვალთვალო კამერა შებრუნებული იყო საპირისპირო მხარეს და ეროსის ავტოსადგომს, შესაბამისად, მის მანქანას არ უყურებდა. აქედან გაჩნდა ლოგიკური ვარაუდი, რომ კამერა მკვლელმა შეაბრუნა, რათა ეროსის მანქანაში არ დაფიქსირებულიყო. აქედან გაჩნდა მეორე ლოგიკური ვარაუდი. ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა იყო კარგად დაგეგმილი, მკვლელობის შემსრულებლებმა ბევრი წვრილმანი დეტალი გაითვალისწინეს და მათ შორის, არც კამერით დაფიქსირების საფრთხე გამორჩათ. ახლა პროკურატურა როგორ ხსნის, იცით, შებრუნებულ კამერას? ეროსი კიწმარიშვილმა, კი, სათვალთვალო კამერა იყიდა, დაამონტაჟა იმიტომ, რომ კამერას მისი ავტოსადგომი 24-საათიან რეჟიმში დაეფიქსირებინა, მაგრამ მერე კიწმარიშვილმა სადგომი შეიცვალა და კამერა შებრუნებული დარჩაო. კი,

თემის გაგრძელება მე-12 გვერდზე

ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ავტომობილი ორ არასრულწლოვანს დაეჯახა

თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ქვეითად მოსიარულე ორ არასრულწლოვანს ავტომობილი დაეჯახა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მოზარდები საშუალო სიმძიმის დაზიანებებით საავადმყოფოში არიან გადაყვანილები.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. (kvira.ge)

დავით გერლიანი-ჩაჩიბაია საქართველოში მის გამოგზავნას „ნაციონალური მოძრაობის“ და სააკაშვილის მიერ დადგმულ სცენარს უწოდებს

ქურდული სამყაროს წევრობისთვის დაკავებული დავით გერლიანი-ჩაჩიბაია უკრაინიდან მის საქართველოში გამოგზავნას „ნაციონალური მოძრაობის" და მიხეილ სააკაშვილის მიერ დადგმულ სცენარს უწოდებს.

როგორც დავით გერლიანის ადვოკატმა თამარ აბესაძემ განაცხადა, დავით გერლიანი 2006 წელს ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დააკავეს, 2013 წელს გათავისუფლდა პატიმრობიდან, რის შემდეგაც საქართველო დატოვა და საცხოვრებლად უკრაინაში გაემგზავრა.

–'მას აქვს უკრაინის მოქალაქეობა. როგორც გერლიანი აცხადებს, უკრაინაში ერთ-ერთ რესტორანში მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც პოლიცია შევარდა და ყველა დააკავა. ამ დაკავების ოპერაციას ქართველი ჩინოვნიკი ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით გერლიანის გარდა ყველა გაათავისუფლეს, ის დააკავეს და უთხრეს, რომ ყალბი პასპორტი ჰქონდა. ჩასვეს თვითმფრინავში და გამოუშვეს საქართველოში. როდესაც თბილისის აეროპორტში ჩამოვიდა, იქ „რუსთავი 2“-ის გადამღები ჯგუფი დახვდა, - განაცხადა თამარ აბესაძემ.

ადვოკატის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი დეპორტირებულიც არ არის, რადგან დეპორტაციისთვის საჭირო პროცედურები არ ჩატარებულა. ადვოკატის თქმით, გერლიანი აცხადებს, რომ სცენარი დადგა მიხეილ სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“'„რუსთავი 2“-ის დახმარებით, თითქოს საქართველოში „კანონიერი ქურდები“ ბრუნდენიან. გერლიანმა ისიც აღნიშნა, რომ ისინი მსგავსი სცენარის განმეორებას სხვა ადამიანებთან მიმართებაშიც გეგმავენ. როგორც გერლიანის ადვოკატი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი უარყოფს, რომ „კანონიერი ქურდია“. (ინტერპრესნიუსი)

ახლა რომ მელია და ბოკერია თბილისშიც გალახონ, თქვენი ბრალი არ იქნება, ქალბატონო მანანა?

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მანანა ნაჭყებია პრემიერ-მინისტრის ინიციატივას ეხმაურება, რომლის თანახმადაც, წინასაარჩევნოდ და არჩევნების პერიოდში ძალადობის მუქარა, ან ძალადობა დასჯადი ქმედება გახდება.

ნაჭყებია მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ადამიანების დასჯის რეალური პრეცედენტი, რეგულაციები არანაირ შედეგს არ გამოიღებს.

– კორცხელში ადამიანებმა, რომლებმაც სცემეს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, გირაოთი გათავისფლდნენ და არანაირი სასჯელი არ მიიღეს, დღეს კი იმუქრებიან, რომ უარეს გააკეთებენ. საგულდაგულოდ დავათვალიერე ეს კადრები, სადაც ჩანს, რომ ეს კუნთმაგარი ადამიანები საგანგებოდ არიან ჩამოყვანილები, თუმცა არა მათი სურვილით. თუ ვინმეს აწუხებდა „ნაციონალური მოძრაობა“ ის არ დაელოდებოდა კორცხელის არჩევენებს და შეგნებულად ამისთვის იქ არ ჩავიდოდა. თუ ვინმეს ბიოლოგიური ზიზღი აქვს ვინმეს ნიკა მელიას, ან ბოკერიას მიმართ, თბილისშიც შეეძლო ანალოგიური გაეკეთებინა.

ადამიანი ემოციური არსებაა, მაგრამ ეს ემოციები რომ ფიზიკურ დაპირისპირებაში გამოხატოს, კანონმდებლობით აკრძალული აქვს. შენი თავისუფლების გამოხატულება იზრუდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება. თუ ხელსუფლება არ გააცნობიერებს მის პასუხისმგებელობას და თუ ადამიანებს, რომლებიც საარჩევნო უბანზე თავხედობას ჩადიან არ ეცოდინებათ რომ დაისჯებიან, არანაირი საკანონმდებლო ცვლილებები შედეგს არ გამოიღებს, მით უმეტეს, რომ არ მგონია პოლიციის თანდასწრებით არჩევნების ჩატარება სწორი იყოს, - განაცხადა ნაჭყებიამ. (news.ge)

● ის კუნთმაგარი ბიჭები ვის და რას ელოდებოდნენ, კაცმა არ იცის, მაგრამ ხალხი კი „ოცნებას“ ელოდებოდა, რომ დამნაშავე დასჯილიყო, ყველაფერს თავისი სახელი დარქმეოდა, მაგრამ ამაო აღმოჩნდა ეს ლოდინი. ჰოდა, ვისაც უკვირს, ვინც ნაწყენია და შეშფოთებული „ნაცმოძრაობის“ მიმართ ასეთი აგრესიისა და ზიზღის გამო, მარტო კორცხელის კადრებს კი ნუ გადახედავს, უახლოეს წარსულსაც გადაავლოს თვალი!..

საქართველოში ონკოლოგიური დაავადებები საგანგაშოდ იზრდება, რის გამომწვევ მიზეზად თამბაქოს ასახელებენ

„საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია“ საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ასოციაციის წევრები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას თამბაქოს კონტროლის დროულად გამკაცრებისკენ მოუწოდებენ. ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში ონკოლოგიური დაავადებები საგანგაშოდ იზრდება, რის გამომწვევ მიზეზად თამბაქოს ასახელებენ.

– მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია და ათასობით ჩვენი მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დგას. ამიტომ ვუერთდებით „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ინიციატივას და მოვითხოვთ პარლამენტმა უახლოეს პერიოდში განიხილოს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა, რომლის მიღების შედეგად ყველა დახურული ტიპის შენობა-ნაგებობაში და ტრანსპორტში აიკრძალება თამბაქოს მოწევა, უარს ვიტყვით თამბაქოს რეკლამასა და პოპულარიზაციაზე, გამარტივდება ადმინისტრირება, გაიზრდება საჯარიმო სანქციები და განხორციელდება მსოფლიოში აპრობირებული ღონისძიებები. მრავალ ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის გამკაცრების შემდეგ ყოველწლიურად სწრაფი ტემპით იკლებს ფილტვის კიბოს სტატისტიკა. საქართველოში კი ონკოლოგიური დაავადებები საგანგაშოდ იზრდება. სიმსივნეს მრავალი მიზეზი იწვევს, მათ შორის თამბაქოს მოხმარება. წელიწადში 10 000-ზე მეტი ადამიანი ნაადრევად გველუპება თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებით. ყოველდღიურად მატულობს თამბაქოთი გამოწვეული სიმსივნეების, განსაკუთრებით ფილტვის კიბოს შემთხვევები. აღნიშნული დაავადებები ახალგაზრდავდება და უკვე ხშირია ქალებს შორის.

ანალოგიური მდგომარეობაა გულსისხლძარღვთა, რესპირაციული, პედიატრიული, რეპროდუქციული და მრავალი სხვა დაავადებების მხრივ. უამრავი პათოლოგიის თავიდან აცილება უფრო იოლად შეიძლება თამბაქოზე კონტროლის გამკაცრებით, ამიტომ ვთხოვთ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს, ნუ გადადებთ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვას და დაუყოვნებლივ მიიღეთ კანონმდებლობა, რომელიც შეამცირებს თამბაქოს მოხმარებას და დაიცავს მისი მომაკვდინებელი ზეგავლენისაგან თაობებს, — აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

აფხაზურმა სამხედრო პროკურატურამ სასამართლოს კანჯი-ოღლის დაკავების შუამდგომლობით მიმართა

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო სამხედრო პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორიას განზრახ მკვლელობაში ბრალდებული რაშიდ კანჯი-ოღლის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

– გამოტანილია დადგენილება კანჯი-ოღლისთვის აფხაზეთის სისხლის სამართლის კოდექსის განზრახ მკვლელობის მუხლით ბრალდებულის სახით პასუხისგებლობის დაკისრების თაობაზე. ამასთან, იგი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან უშიშროების სამსახურში, - წერს „აფსნიპრესი".

იქაური მედიის ინფორმაციით, საგამოძიებო ორგანოს იმედი აქვს, რომ მიიღებს ბრალდების მტკიცებულებებს საქმის სასამართლოში გადასაგზავნად ოთხმხრივ კომისიაში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში გალში.

ამასთან, დე ფაქტო გენერალური პროკურატურა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, რაშიდ კანჯი-ოღლი არ არის ცნობილი დამნაშავედ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე". (timer.ge)

სუბელიანი: საფერფლეების მითოლოგები გაყურსულები არიან

„ნაციონალური მოძრაობის" წევრი კობა სუბელიანი ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე გამოძიების დასრულებას ეხმაურება.

– ეროსის ქონება ათჯერ, ოცჯერ და მეტჯერ აღემატებოდა 200 000 -ლარიან ვალს. ვალის გამო თვითმკვლელობის ვერსია ხალხის თვალში ნაცრის შეყრაა, გათვლილია ქოცებზე და ქოცთ გამპრავებლებზე. საფერფლეების მითოლოგები კი გაყურსულები არიან, - წერს სუბელიანი „ფეისბუკში“. (news.ge)

პარლამენტმა ქუჩაში მცხოვრები ბავშვთა უფლებების დასაცავად საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებების დასაცავად საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მესამე მოსმენით დაამტკიცა. იუსტიციის სამინისტროში მომზადებულ პაკეტს საკანონმდებლო ორგანომ მხარი ერთხმად დაუჭირა. იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ მიუსაფარ ბავშვებზე ძალადობისა და მათი უგულებელყოფის აღკვეთის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

უწყების განმარტებით, დღემდე მოქმედი კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული, ვინ მიეკუთვნებოდა ქუჩაში მცხოვრები ბავშვების კატეგორიას და ისინი ამიტომაც არ არიან ზუსტად აღრიცხულნი. ასეთი ბავშვების უფლებები სათანადოდ არ არის დაცული. მათ არ გააჩნიათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია: დაბადებისა და პირადობის მოწმობები, პასპორტი, რადგან მათი მშობლები და მეურვეები ვერ ახერხებენ ან არ თვლიან საჭიროდ პატარებისთვის დოკუმენტაციის მოწესრიგებას. ამის გამოც ვერ იღებენ ისინი განათლებას, არ არიან ჩართულნი სოციალური თუ სამედიცინო სახის სახელმწიფო პროგრამებში. ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, არ არსებობს მისი მოძალადისაგან მყისიერად განცალკევების მექანიზმი.

კანონპროექტს შემოაქვს ცნება „მიუსაფარი ბავშვი", რაც შესაბამის სტრუქტურებს საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ ობოლი, უსახლკარო, არამედ უგულებელყოფილი მსხვერპლი ბავშვიც დაიცვას. ახლებურად რეგულირდება მიუსაფარი ბავშვებისათვის დოკუმენტაციის გაცემის პროცესი და უფრო ქმედითი ხდება არასრულწლოვნების ნებისმიერი ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები. (kvira.ge)

ნიკა გვარამიამ აჯანყება დააანონსა...

რისთვის მივიდნენ მასთან შეხვედრაზე ბურჭულაძის და ალასანიას პარტიის წარმომადგენლები?

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

„რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ სააპელაციო სასამართლოს მიერ ტელეკომპანიისთვის გამოგზავნილი გადაწყვეტილება გააპროტესტა და სპეციალურ ბრიფინგზე სასამართლო კიდევ ერთხელ კანონის დარღვევაში დაადანაშაულა. გვარამიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბიძინა ივანიშვილის მიერ ტელევიზიისთვის გამოცხადებულ ბრძოლას და აღნიშნა, რომ ხელისუფლების მიზანია, არჩევნებამდე გააჩუმოს ტელევიზია. მანვე „რუსთავი 2“), მიმართა დღევანდელ პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს „მოთხოვნით“, რომ ჩაერიონ საქმეში და შეცვალონ სასამართლოს გადაწყვეტილება... დიახ, დიახ, პირდაპირ ასე მოითხოვა... და თუ ასე არ მოიქცევიან, დაიტოვა აჯანყების უფლება (აი, აქ უნდა გავიცინოთ ალბათ, თუ უნდა ვიტიროთ???)... უბრალოდ, დაავიწყდა, რომ სრულიად გაკოტრებულია თვითონაც, მიშა და მისი ბანდაც და არანაირი ავტორიტეტი არ გააჩნიათ ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად... §.შ. ხო, მართლა, პარტიები და არასამთავრობოები უკვე დავიბარე ოფისშიო...“

ციაზე...

– შეგედავებით, ჯერ ერთი, არანაირი 15% „ნაცმოძრაობას“ არ აქვს და 6-7%, მაქსიმუმ, ხმების მობილიზება მოახდინონ, ისიც იმ ნაქურდალი ფულის მეშვეობით, რომელიც 9 წლის განმავლობაში იყაჩაღეს. მოსყიდვით შეიძლება რაღაც რაოდენობა გამოიყვანონ ქუჩაში, მაგრამ 30 ლარის გამო არავინ არ შეაკლავს თავს, რა... შეიძლება, არჩევნებზე მივიდნენ და ხმა მისცენ, მაგრამ ქუჩაში გამოვიდნენ და გადატრიალებაზე ხელი მოაწერონ, ასეთი მასის შემგროვებლები ესენი არ არიან ფულის ხათრით. ამიტომ, უპერსპექტივოდ ვთვლი გადატრიალების მუქარას.

და პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწოდა, რომ სასწრაფოდ ჩაერიონ „რუსთავი 2“ ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში. როგორ ფიქრობთ, მოჰყვება სახელმწიფოს ორი უმაღლესი პირისგან რეაგირება ამ მოწოდებას?

– იურისტობას რომ თავი დავანებოთ, ელემენტარული თხა და გიგო მაინც უნდა ჰქონდეს ადამიანს წაკითხული, რომ მსგავსი განცხადება არ გაკეთოს, რას ჰქვია, ჩაერიონ, ყოფილმა პროკურორმა კაცმა არ იცის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ხელისუფლების ნებისმიერი წევრის რაიმე ფორმით განცხადება ან მხარდაჭერა სასამართლოზე ზეწოლად ჩაითვლება?

ერთხელ უკვე დაუშვა მარგველაშვილმა მსგავსი შეცდომა, როცა სასამართლოს მოუწოდა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, ფაქტობრივად, ჩაერია კერძო დავაში. განათლებული კაცია და არა მგონია, მეორედ იგივე გაიმეოროს. თუმცა პრეზიდენტს ძალიან ეტყობა ამ ბოლო დროს მერყეობა, ეტყობა, მას არ აქვს მყარად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხედვა. ცდილობს მანევრირებას, მაგრამ ყოველთვის მოქნილი მანევრები არ გამოსდის. ერთი მხრივ, მას უნდა, რომ „რუსთავი 2“-ზე შუქდებოდეს, მეორე მხრივ კი, ჭკვიანი კაცია და სანამ ხელისუფლებაში მოდიოდა, დადიოდა „ოცნებასთან“ ერთად და ხედავდა საზოგადოების რეალურ განწყობას „ნაციონალების“ მიმართ. ახლა ამ ორ ცეცხლს შუა იწვის, ერთია ხალხის განწყობა და მეორეა დასავლეთიდან მიღებული რეკომენდაციები, ეს ორი რეალობა სრულიად აცდენილია ერთმანეთს.

— რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, გვარამიასთან შეხვედრაზე, გარდა იმ სატელიტი პარტიებისა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კუდებად ითვლებოდნენ ყოველთვის, შეკრებაზე მივიდა ნინო გოგუაძე წარმომადგენელი „თავისუფალი დემოკრატებიდან“ და ხათუნა ლაგაზიძე პაატა ბურჭულაძის პარტიიდან, ადრე ერთიც და მეორეც ამტკიცებდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი არ მოსწონდათ, მაგრამ ახლა „ნაციონალების“ პარტიული ტელევიზისთვის ღიად იბრძვიან, თავისუფალი სიტყვის ჩახშობის უფლებას არავის მივცემთო. სინამდვილეში

პროცესებში ჩართვისთვის პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწოდა და აღნიშნა, რომ, თუ ტელეკომპანია სასურველ მიზანს სამართლებრივად ვერ მიაღწევს, საერთაშორისო კონვენციების დაცვით ყველა საშუალებას გამოიყენებენ, მათ შორის დაუმორჩილებლობისა და აჯანყების უფლებას. „თუ გსურთ, ჩვენი დასისხლიანებული სახეების ხილვა, იხილავთ“, – დაიმუქრა გვარამია. მუქარის სისრულეში მოყვანამდე კი ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობოების ნაწილი შეკრიბა და საიდუმლო სერობა გამართა.

ჯერჯერობით უცნობია, რაზე ითათბირეს დახურულ შეხვედრაზე გვარამიასთან, მაგრამ მის მუქარას სოციალურ ქსელში „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ასე გამოეხმაურა:

„პარადოქსია, მაგრამ უპატრონო ქვეყანაში, ეტყობა, ყველაფერი „მოსულა“. ნიკა გვარამიამ (ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა, ამჟამად კი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენდირექტორმა), რომლის გენპროკურორობის დროს და რომლის ხელშეწყობითაც, ღია და აშკარა შანტაჟითა და ძალადობით, მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიითვისა ქიბარ ხალვაშის საკუთრება (ტელეკომპანია

„ალიას“ ჯონდი ბაღათურია ესაუბრა:

– „რუსთავი 2“-ის საქმე, რომელიც სასამართლოში იხილება, არის ქონებრივი დავა 2 მესაკუთრეს შორის, ქიბარ ხალვაშსა და მიხეილ სააკაშვილს შორის. თავის დროზე, ისევე ძალადობით და შანტაჟით მიითვისა სააკაშვილმა, როგორც ბევრი სხვა ქონება, მაგალითად, როგორც ძალადობით წაართვეს კუს ტბა ხარძიანების ოჯახს, როგორ ძალადობითაც მიითვისეს ბევრი სხვა ქონება, ტელეკომპანია „იმედი“ და ა.შ. გვარამია კი ამ დროს იყო გენპროკურორის მოადგილე, ჩვეულებრივი მოძალადე, ახლა გამოდის და აქეთ გვემუქრება. საოცრება თუ გინდათ ესაა, მაგრამ არაფერი გამოუვათ, რადგან მოსახლეობას ძალიან კარგად ახსოვს მათი ძალადობა და მათ შორის გვარამიას დიდი წვლილი ყველა უკუღმართობის „გაპრავებაში“.

— თქვენ თვლით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სრულიად გაკოტრებულია და აჯანყებისთვის საჭირო ხალხს ვერ გამოიყვანს, მაგრამ 15 პროცენტი მოტივირებული მხარდამჭერი ჰყავს, თანაც, ხელისუფლებამ ისე გააღატაკა მოსახლეობა, ისე გაამწარა, რომ „ნაციონალების“ კი არა, შეიძლება ეშმაკის დაძახილზე გავიდეს აქ-

ხელისუფლებაზე გაბრაზებული ნამდვილად ბევრია საზოგადოებაში, მაგრამ ისე გაბრაზებულები არ არიან, რომ „ნაცმოძრაობას“ გაჰყვნენ. ხალხს მათი სიძულვილი ჯერ არ განელებია. ის, რომ ხელისუფლების მიმართ აგრესია გაიზარდა, ეს ნამდვილად ასეა და ხშირად მითქვამს, რომ დღეს ძალაუფლება ქუჩაში აგდია, უბრალოდ, უნდა გამოჩნდეს ძალა, რომელიც ხელში აიღებს ამ ძალაუფლებას. ამაში ვგულისხმობ იმას, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა, ძალიან გაბრაზებულია ხელისუფლებაზე და ეძებს ახალ ლიდერს, ახალ პატრონს, ახალ ხელისუფალს. მაგრამ „ნაცმოძრაობა“ ვერანაირ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს და ვერანაირად ვერ გახდება ის პოლიტიკური ძალა, ვისაც „ოცნების“ ჯინაზე ხალხი გაჰყვება, ან ქუჩაში, ან არჩევნებზე.

— ისევ გვარამიას მოწოდებებს დავუბრუნდეთ. მან პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ზეწოლად ჩაითვლება?

ერთხელ უკვე დაუშვა მარგველაშვილმა მსგავსი შეცდომა, როცა სასამართლოს მოუწოდა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, ფაქტობრივად, ჩაერია კერძო დავაში. განათლებული კაცია და არა მგონია, მეორედ იგივე გაიმეოროს. თუმცა პრეზიდენტს ძალიან ეტყობა ამ ბოლო დროს მერყეობა, ეტყობა, მას არ აქვს მყარად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხედვა. ცდილობს მანევრირებას, მაგრამ ყოველთვის მოქნილი მანევრები არ გამოსდის. ერთი მხრივ, მას უნდა, რომ „რუსთავი 2“-ზე შუქდებოდეს, მეორე მხრივ კი, ჭკვიანი კაცია და სანამ ხელისუფლებაში მოდიოდა, დადიოდა „ოცნებასთან“ ერთად და ხედავდა საზოგადოების რეალურ განწყობას „ნაციონალების“ მიმართ. ახლა ამ ორ ცეცხლს შუა იწვის, ერთია ხალხის განწყობა და მეორეა დასავლეთიდან მიღებული რეკომენდაციები, ეს ორი რეალობა სრულიად აცდენილია ერთმანეთს.

— რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, გვარამიასთან შეხვედრაზე, გარდა იმ სატელიტი პარტიებისა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კუდებად ითვლებოდნენ ყოველთვის, შეკრებაზე მივიდა ნინო გოგუაძე წარმომადგენელი „თავისუფალი დემოკრატებიდან“ და ხათუნა ლაგაზიძე პაატა ბურჭულაძის პარტიიდან, ადრე ერთიც და მეორეც ამტკიცებდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი არ მოსწონდათ, მაგრამ ახლა „ნაციონალების“ პარტიული ტელევიზისთვის ღიად იბრძვიან, თავისუფალი სიტყვის ჩახშობის უფლებას არავის მივცემთო. სინამდვილეში

> „უპერსპექტივოდ ვთვლი გადატრიალების მუქარას. ხელისუფლებაზე გაბრაზებული ნამდვილად ბევრია საზოგადოებაში, მაგრამ ისე გაბრაზებულები არ არიან, რომ „ნაცმოძრაობას“ გაჰყვნენ. ხალხს მათი სიძულვილი ჯერ არ განელებია. ის, რომ ხელისუფლების მიმართ აგრესია გაიზარდა, ეს ნამდვილად ასეა“

რასთან გვაქვს საქმე?

– ძალიან გამიკვირდა ბურჭულაძის წარმომადგენლისგან და ვრცლად ამის კომენტირებაზე თავს შევიკავებ, ჩემი ყოფილი პარტნიორია. ძალიან გაოცებული ვარ, ასეთი დიამეტრალური გარდასახვა ღირებულებების, ცნობიერებებისა და პოლიტიკური ხედვების, აბსოლუტურად აუხსნელი და გაუგებარია.

ერთი ნაწილი პარტიების არიან ძველი სატელიტები, რომლებიც ახლაც დარჩნენ მიშას ორბიტაზე, ისინი თავის დროზეც და ახლაც მიშას ხელიდან იკვებებიან და მათი ძირითადი ფუნქცია მაშინაც ოპოზიციის ოპოზიციაში ყოფნა იყო. რაც შეეხება „ზოგიერთ პარტიას“ პოზიცია კი არ აქვთ „ნაციონალების მიმართ“ შეცვლილი, უფრო პოლიტიკური პოზა აქვთ ასეთი, რომლითაც შესაძლოა აშშ-ს საელჩოს ეკეკლუცებოდნენ, რადგან აღნიშნული საელჩო პირდაპირ და ღიად ერევა უკვე არა მარტო პოლიტიკურ პროცესებში, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებებში, კარნახობს, როგორ მოიქცეს სასამართლო, რაც არაა საელჩოს ფუნქცია და მიუღებელია. ამიტომ ზოგიერთი „რუსთავი 2“-ს ეკეკლუცება, ან კიდევ, ოღონდ ტელევიზორში გამოაჩინე და ამის გამოც მივა ყველგან, უამისობაც არ არის.

გოდერძი ჩოხელის ვაჟს დახმარება ესაჭიროება!

გოდერძი ჩოხელის უმცროს ვაჟ ნიკა ჩოხელს დახმარება ესაჭიროება - ამის შესახებ ინფორმაციას ლია თუშური ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„მეგობრებო! ეს ახალგაზრდა კაცი ნიკა ჩოხელია. დიდი ქართველი მწერლისა და კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის უმცროსი ვაჟი. ამ რამდენიმე თვის წინ ნიკა მთიულეთში ავარიაში მოყვა. უკვე რამდენიმე თვეა მისი ოჯახის წევრები და ახლობლები იმედით მოელიან, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება და ნიკა კვლავ გაივლის... ნიკა ჩოხელს სასწრაფოდ სჭირდება საზღვარგარეთ მკურნალობა. მის სახელზე „ქართუ ბანკში“ გახსნილია ანგარიში: ლარში დოლარსა და ევროში. ლარში მიმღები ბანკი: სს ბანკი ქართუ. ბანკის კოდი: CRTUGE22; მიმღების დასახელება: ნიკოლოზ ჩოხელი

მიმღების ანგარიშის ნომერი: **GE59 CR00 0000 9413 6736 01** (რეპორტიორი)

იმერლიშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ? - „უაღრესად დიდი პატივია, ნებისმიერი იურისტისთვის“



– არ ყოფილა ჯერ, აუცილებლად შეგატყობინებთ, თუ იქნება, - ასე პასუხობს უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი კითხვას მისი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით.

იმერლიშვილის თქმით, ნებისმიერი იურისტისთვის პატივია იყოს მოსამართლე, მით უმეტეს საკონსტიტუციო სასამართლოში, თუმცა ჯერჯერობით მას შეთავაზება არ მიუღია.

– უაღრესად დიდი პატივია ნებისმიერი იურისტისთვის, როგორც საკონსტიტუციო, ასევე, საერთო სასამართლოები. მოსამართლეობა იურისტისთვის არის ძალიან დიდი პატივი. იგივე საუბარი იყო უზენაეს სასამართლოზე, ჯერჯერობით ნამდვილად არაფერი ყოფილა, - აცხადებს იმერლიშვილი. (პირველი რადიო)

„გამოაქვეყნონ კრიმინალური ავტორიტეტების სია, რომლებიც 2006-2012 წლებში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ“

– ე.წ. კანონიერი ქურდის დავით გერლიანის დასაკავებლად შინაგან საქმეთა სამინისტრომ სწრაფი და ეფექტური რეაგირება მოახდინა.

ამის შესახებ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრი, მამუკა მდინარაძე აცხადებს.

– საინტერესოა, ახლა რას იტყვიან „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები იმაზე, რომ ორი დღის განმავლობაში ოპერატიული მუშაობის შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკმაოდ სწრაფად, ეფექტურად მოახდინა რეაგირება ამ ფაქტზე და დააკავა ე.წ. კანონიერი ქურდი გერლიანი, რომელიც საქართველოში შემოვიდა სხვა სახელითა და გვარით, - აღნიშნა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა.

მამუკა მდინარაძე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ოპონენტების მიერ გაკეთებულ განცხადებებსაც გამოეხმაურა.

– „საინტერესოა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, თუ მართლაც გულწრფელები არიან, რატომ არ ინტერესდებოდნენ თავის დროზე იმით, რომ წლების განმავლობაში, 2006-2012 წლებზე მაქვს საუბარი, კანონიერი ქურდები, კრიმინალური ავტორიტეტები გადაადგილდებოდნენ თავისუფლად საქართველოს ტერიტორიაზე. შემოდიოდნენ და გადიოდნენ. არის რაღაც დაჯგუფება, რომელიც იყო მისაღები „ნაციონალური მოძრაობისთვის", არის დაჯგუფება, რომელიც არ იყო მათთვის მისაღები და იჭერდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვთხოვ, თუ კანონი ამის საშუალებას მისცემს, გამოაქვეყნონ კრიმინალური ავტორიტეტების სია, რომლებიც 2006-2012 წლებში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, ტოვებდნენ სახელმწიფო საზღვარს და შემოდიოდნენ საქართველოში. „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა კეთილი ინებონ და გასცენ კითხვას პასუხი - რატომ ხდებოდა ასე, რატომ იყო შერჩევითი სამართალი კრიმინალური ავტორიტეტების მიმართ, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ. (pia.ge)

● ნეტა, რა ოპერატიული მუშაობა და ეფექტური რეაგირება უნდოდა ამ ადამიანის დაკავებას, როცა ლამის სააკაშვილიც თან ჩამოჰყვა — ჩამოვიდა გერლიანი ღილინ-ღილინით და აეროპორტიც უპრობლემოდ დატოვა, ანუ წინასწარ იცოდა ყველამ, რომ ის საქართველოში ჩამოდიოდა.

მოკლედ, წყალს ნაყავენ „ნაცებიცა“ და „ქოცებიც“ და ყველაზე გასაგიჟებელი ის არის, რომ არ იღლებიან ამ სისულელეებით!!!

საგამოცდო ცენტრების ჩამონათვალი და ადგილმდებარეობა — გამოცდები 2016

2016 წლის ეროვნული გამოცდებისთვის საგამოცდო ცენტრების ჩამონათვალი და ადგილმდებარეობა ცნობილია. გთავაზობთ ჩამონათვალს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — ქ.თბილისი, კოსტავას ქ. 77;

თბილისის 177-ე საჯარო სკოლა — ქ.თბილისი, გლდანის მე-5 მ/რ;

თბილისის 175-ე საჯარო სკოლა (ა) — ქ.თბილისი, მუხიანის მე-3 მ/რ;

თბილისის 175-ე საჯარო სკოლა (ბ) — ქ.თბილისი, მუხიანის მე-3 მ/რ;

თბილისის 117-ე საჯარო სკოლა — ქ.თბილისი, თრიალეთის ქ. 7;

თბილისის 173-ე საჯარო (ა) — ქ.თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ;

თბილისის 173-ე საჯარო (ბ) — ქ.თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ;

თბილისის 133-ე საჯარო სკოლა — ქ.თბილისი, ვარდისუბნის ქ. 8;

თბილისის 39-ე საჯარო სკოლა — ქ.თბილისი, გლდანის 1-ლი მ/რ;

ქუთაისის 1-ლი საჯარო სკოლა — ქ.ქუთაისი, ცისფერყანწელთა ქ. 6;

ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლა — ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ. 44;

ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა — ქ.ქუთაისი, რუსთაველის ქ. 127;

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35;

ფოთის მე-3 საჯარო სკოლა — ქ.ფოთი, ზამბახიძის ქ. 3;

ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა — ქ.ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. 9;

ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლა — ქ.ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას ქ. 9;

გორის მე-3 საჯარო სკოლა — ქ.გორი, დ.ამილახვარის ქ. 26;

თელავის მე-8 საჯარო სკოლა — ქ.თელავი, თამარის ქ. 69;

ახალციხის მე-5 საჯარო სკოლა — ქ.ახალციხე, ფარნავაზ მეფის ქ. 6;

რუსთავის მე-4 საჯარო სკოლა — ქ.რუსთავი, ლეონიძის ქ. 26-ა;

ხულოს საჯარო სკოლა — დ.ხულო, შავაძის ქ. 3. (pia.ge)

„სამწუხაროდ, არ უმჯობესდება ყითარება წლების თვალსაზრისით“ - მიმინოშვილი ბრალდებებს პასუხობს

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი „ნაციონალური მოძრაობის" ბრალდებას პასუხობს და აცხადებს, რომ საატესტატო გამოხდებით ცენტრი უკმაყოფილოა და ეს არც არასდროს დაუმალავთ:

– როგორც კი გამოსაშვები გამოცდები დამთავრდა, სტატისტიკა რაც იყო და რაც არის, მაშინვე ვისაუბრეთ გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა. შემიძლია დღესაც გავიმეორო და ამაში დასამალი არაფერია. უკმაყოფილო რომ ვართ შედეგებით, ეს ახალი არ არის. 2900-მდე მოსწავლე გამოეთიშა გამოცდებს იმის გამო, რომ ვერ გადალახა ბარიერი ერთ-ერთ საგანში მაინც. საგანგაშო თუ არა, მიუღებელია თითოეული ჩვენგანისთვის, რომ 200 კი არა, 20 მოსწავლეც რომ გვყავდეს ისეთი, ვინც მინიმალურ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს. ეს არ არის სახარბიელო შედეგი, ეს არის, რაც გვაქვს. სამწუხაროდ, არ უმჯობესდება ვითარება წლების თვალსაზრისით, - განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ მარიამ რამინაშვილის განცხადებით, საატესტატო გამოცდების შედეგების სტატისტიკას სამინისტრო არ ასაჯაროებს, რადგან ჩაჭრილთა რაოდენობა დიდია, რაშიც რამინაშვილის აზრით, განათლების სამინისტროა დამნაშავე, რომელმაც სკოლები უკონტროლოდ მიატოვა:

– ჩვენ მოვუწოდებთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, უმოკლეს პერიოდში გამოაცხადოს ეს შედეგები და მისი მიზეზები ახსნას. ასევე, დასახოს პრევენციული ღონისძიებები, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს, - განაცხადა მარიამ რამინაშვილმა. (პირველი რადიო)

„რომ არსებობდეს უვადო პატიმრობა, შოთაძე ამასაც მოითხოვდა“

გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. კაბელების საქმეზე პროკურატურა მსჯავრდებულებისთვის სასჯელის ზომის გაზრდას ითხოვს და ამ მოთხოვნით ბრალდების მხარემ უკვე მიმართა სააპელაციო სასამართლოს. საკითხს გამოხმაურება მოჰყვა „თავისუფალი დემოკრატების“ მხრიდან. გია ცაგარეიშვილის თქმით, ეს მისთვის გასაკვირი არაა:

– რომ არსებობდეს უვადო პატიმრობა, შოთაძე ამასაც მოითხოვდა. მე არ მიკვირს მისგან ეს ამბავი. მათ, როგორც ჩანს, სურთ, რომ არა 7 წელი შეუფარდონ ამ ადამიანებს, არამედ არ ვიცი რამდენი წელი. არ მინდა ენამ მიყივლოს. ფორმალურად ეს მათი უფლებაა. ჩვენი უფლებაა, რომ ეს გავასაჩივროთ მეორე ინსტანციაში და იმედი მაქვს, რომ ჩვენ იქ წარმატებას მივაღწევთ და გადაიხედება ეს გაუგონარი სასჯელი, - განაცხადა გია ცაგარეიშვილმა. (პირველი რადიო)

„ეროსის მანჰეტენზე ჰქონდა სახლი, რომელიც 3 მილიონი ღირდა“

ეროსი კიწმარიშვილის მეგობრისთვის პროკურატურის ვერსია არადამაჯერებელია. ბადრი ნანეტაშვილის თქმით, ეროსი კიწმარიშვილი დიდძალ ქონებას ფლობდა და თავის მოსაკლავი არაფერი ჰქონდა.

– პროკურატურამ ფაქტობრივად, ორი წლის განმავლობაში თქვა იგივე, რაც პირველ დღეს გააკეთა განცხადება. იმის მერე თუ რამე გამოიძიეს, არაფერი არ ჩანდა დღევანდელი განცხადებიდან. გამოვიდა ისე, რომ დამაჯერებელი არ იყო არაფერი, რომ დავიჯეროთ ეს გადაწყვეტილება. ფაქტობრივად, გამოდის, რომ პროკურატურას სიტყვაზე უნდა ვენდოთ, რომ თქვა, რომ ეს იყო და ამიტომ თავი მოიკლა ადამიანმა. თავის მოსაკლავი ეროსის არაფერი არ ჰქონდა. ეროსის ჰქონდა უამრავი ქონება, მანჰეტენზე ჰქონდა სახლი, რომელიც 3 მილიონი ღირდა. არანაირ ფაქტ არ აცხადებენ ისეთს, რომ დამაჯერებელი იყოს, - განაცხადა ნანეტაშვილმა. (news.ge)

რატომ დაიწყო ლარმა უცებ გაუფასურება?

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

ერთი ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.2240 ლარი გახდა. არა და, 2.12-მდე იყო ჩამოსული და ხალხს იმედი გაუჩნდა, კიდევ უფრო გამყარდება და დოლარებში აღებული კრედიტების დაბრუნება გაგვიადვილდებაო.

რატომ დაიწყო უცებ გაუფასურება ლარმა ბოლო პერიოდში მკვეთრი გამყარების შემდეგ? რატომ ვერ გრძნობს მოსახლეობა საკუთარ თავზე, თუკი ეკონომიკა გაუმჯობესდა?

„ოცნების“ ექსპერტები და სხვებიც, ქადაგიძეს ადანაშაულებდნენ საბოტაჟში, გვენეტაძეც იგივე დაიწყო თუ სუსტი მმართველია?

– ვფიქრობ, რომ ეროვნულ ბანკს ამ დღეებში უფრო მეტი სიმტკიცე უნდა გამოეჩინა, თუნდაც ინტერვენცია უნდა განეხორციელებინა და დაესტაბილურებინა. არ შეიძლება ასე ხისტად და სწრაფად იცვლებოდეს კურსი და მერყეობდეს, ამიტომაა ეროვნული ბანკი, რომ უნდა მოხდეს რბილი გადასვლა.

სხვადასხვა ფაქტორები და რისკები ყოველთვის იქნება, გამოდის, რომ ეროვნული ბანკი ვერ ართმევს თავს. „ოცნების“ ექსპერტები და სხვებიც, ქადაგიძეს ადანაშაულებდნენ საბოტაჟში, გვენეტაძემაც იგივე დაიწყო თუ სუსტი მმართველია?

„ალიას“ ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, ემზარ ჯგერენაია ესაუბრა:

— ბატონო ემზარ, ლარმა კვლავ დაიწყო სწრაფად გაუფასურება. რა ხდება, რას უკავშირებთ ლარის ასეთ არასტაბილურობას?

– იმპორტის მოცულობა გაიზარდა და მოთხოვნა გაიზარდა დოლარზე. ვინაიდან მსოფლიო სასაქონლო ბირჟაზე ფასებმა მოიმატა, აქედან გამომდინარე, იმპორტი ღირებულების კუთხით გაიზარდა და დოლარზეც იმატა მოთხოვნამ.

— ხელისუფლებას რომ დავუჯეროთ, ტურისტების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა, შემოსული დოლარის მოცულობამ მოიმატა და რატომ ვერ მოხდა დაბალანსება?

– დიახ, მართალია, ტურისტების რაოდენობამ იმატა, მაგრამ მხოლოდ ამით ვერ მოხდა დაბალანსება, ვინაიდან მკვეთრი მატებაა იმპორტის მოცულობის. არის სხვა ფაქტორებიც.

— სხვადასხვა ფაქტორები და რისკები ყოველთვის იქნება, გამოდის, რომ ეროვნული ბანკი ვერ ართმევს თავს. „ოცნების“ ექსპერტები და სხვებიც, ქადაგიძეს ადანაშაულებდნენ საბოტაჟში, გვენეტაძემაც იგივე დაიწყო თუ სუსტი მმართველია?

— კონკრეტულად რა რა უნდა გაეკეთებინა, რომ ლარი ასე არ „გაქცეულიყო“?

– ამ დღეების განმავლობაში 250 მილიონი დოლარი რომ იყიდეს, როცა შეატყვეს ცვლილება, უნდა გაეყიდათ 50 მილიონი მაინც და იქნებოდა უმტკივნეულო გადასვლა. ეროვნულმა ბანკმა ჩათვალა, რომ ეს იყო ტრენდი (ტენდენცია. – მ.დ.) და ამიტომ არ ჩაერია. ამიტომ არის, რომ ქანქარებს უთავბოლოდ თავისთვის ეროვნული ვალუტა.

— ქვეყნის დე იურე თუ დე ფაქტო მმართველების მხრიდან მუდმივად გვესმის, რომ ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით წინსვლა გვაქვს. ჩვენ, მოსახლეობა ამას რატომ ვერ ვგრძნობთ, გვატყუებენ, თუ ჩვენ ვართ „დაუნახავები“? 10 ადამიანიდან ერთს მაინც ხომ უნდა შეეტყოს უკეთესობა?

– აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ ასეა. თუმცა გაუმჯობესებული სტატისტიკა მოსახლეობაზე, ზოგადად, რამდენიმე კვარტალის შემდეგ აისახება. პატარა მაგალითი რომ ავიღოთ: ვთქვათ, გაიზარდა შემოსავალი ტურიზმიდან, გაიზარდა, სიტყვაზე, ექსპორტის მოცულობა, იმის გამო, რომ მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა ფასები, ამუშავდა ჭიათურისა და ზესტაფონის ფეროს ქარხნები და საბადოები, ეს ხომ მონაცემს ცვლის, მაკროეკონომიკურ მონაცემებს აუმჯობესებს. მაგრამ ეს არ აისახება თბილისის მოსახლეობაზე, აუმჯობესებს კონკრეტულ ადგილზე სიტუაციას. თუ გუშინ უმუშევარი იყო ჭიათურელი მოსახლეობის უმრავლესობა, იმის გამო რომ ფასები დაბალი იყო, მარგანეცი არ იყიდებოდა, დღეს ეს ადამიანები დასაქმდნენ და ისევ ქარხანას დაუბრუნდნენ ამიტომ ამ შემთხვევაში კონკრეტული ადამიანის მდგომარეობა გაუმჯობესდა და არა ზოგადი. ის, რომ მთლიანმა მოსახლეობამ იგრძნოს სიკეთე, ეს კიდევ სხვა პარამეტრებთანაა დაკავშირებული და ახლანდელი სიტუაციით ძალიან შორს ვართ იმისგან, რაც ამ შედეგისთვის გვინდა.

— სწორედ ამაზეა საუბარი, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა რაიმე სერიოზული ნახტომის გაკეთება ეკონომიკაში და მხოლოდ 3%-იანი ზრდა რომ მათ ეფექტურ მმართველობაზე არ მიუთითებს, ეს ცალსახაა... მაგრამ შედეგს წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებენ „ოცნებაში“ და ლოდინით გამწარებულ მოსახლეობას კიდევ უფრო ამწარებენ...

– რა თქმა უნდა, არაა დამაკმაყოფილებელი შედეგი, მე არ მეგულება ეკონომიკაში ჩახედული ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ

> „დიახ, ივანიშვილი ორმხრივად აფასებს, ერთი მხრივ, რეალობაზე აკეთებს აქცენტს და მეორე მხრივ, სასურველ შედეგზე, რომელიც ძნელი მისაღწევია მოკლე დროში... სიტყვები, რაც მისგან მესმის, არის ერთი, რომ დადებითი მიმართულებით მიდის, მეორე არის ის, რომ სიტუაცია ეკონომიკური კუთხით მკვეთრად უკეთესი არ არის“



„ოცნების“ ექსპერტები და სხვებიც, ქადაგიძეს ადანაშაულებდნენ საბოტაჟში, გვენეტაძემაც იგივე დაიწყო თუ სუსტი მმართველია?

დამაკმაყოფილებელი კი არა, დამაკმაყოფილებელთან ახლოს მისულია ეკონომიკური ზრდა. ბიძინასთან შეხვედრაზეც ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, საუბარი დაიწყო იმით რომ ეს არის შორს იმისგან, რაც უნდა გვქონდეს. მთავარი პრობლემა ისევ უმუშევრობაა, ძალიან დიდი მოცულობითაა სიღატაკე, რეალურად მძიმე სიტუაციაა. ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართ და 5%-იანი ზრდაც კი არაფერია და ვერ გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს მკვეთრად.

— თუმცა ბიძინა ივანიშვილი, ერთ ჯერზე როცა აცხადებს, ადამიანებს მაცივარი ცარიელი აქვთო, შემდეგ თავისავე სიტყვების საწინააღმდეგოდ ოპოზიციასა და მასმედიას ადანაშაულებს, არც ისეთი სიღატაკეა, როგორც წარმოაჩენთ და მძაფრი სურათის დახატვით, დესტაბილიზაციას უწყობთ ხელსო. ეს როგორ უნდა გავიგოთ? თან ამბობს, ეფექტური მთავრობა მოვიყვანეო, თან ხალხს ისევ უჭირსო, რა გამოდის?

– დიახ, ივანიშვილი ორმხრივად აფასებს, ერთი მხრივ, რეალობაზე აკეთებს აქცენტს და მეორე მხრივ, სასურველ შედეგზე, რომელიც ძნელი მისაღწევია მოკლე დროში. უკვე ღიად კეთდება განაცხადი, რომ 2020 წელსაც ვერ გვექნება მკვეთრად გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა და გადადეს 2030 წლამდე. სიტყვები, რაც მისგან მესმის, არის ერთი, რომ დადებითი მიმართულებით მიდის, მეორე არის ის, რომ სიტუაცია ეკონომიკური კუთხით მკვეთრად უკეთესი არ არის.

— რა რეალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ გამოსწორდეს სიტუაცია, „ოცნება“ მეოთხე წელია ხელისუფლებაშია და რეფორმებისთვის საკანონმდებლო ცვლილებები თუ იყო საჭირო, არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ მოსახლეობა გაუბედურდა და კვლავ ხმებს ითხოვს არჩევნებზე. არა და წინა არჩევნებზე მათი დაპირებები კარგად გვახსოვს...

– ნებისმიერი პარტიის პოლიტიკა უნდა იყოს რეალურ გათვლებზე დაყრდნობილი. ამიტომ ერთი რამეა, რაც ყველამ უნდა გაიგოს, სასწაულების კეთება რეალურად შეუძლებელია, რეფორმები სიღრმისეულად გვჭირდება, ინსტიტუციონალურ-სტრუქტურული რეფორმები აუცილებლად. მაგრამ ამას სჭირდება დრო, სწორი მიდგომები და თანხები. ბუნებრივია, საქართველო, იმ შემთხვევაში თუ გარშემო კარგი ეკონომიკური სიტუაცია იქნება, აუცილებლად მიაღწევს მიზანს. დაპირებები ერთია, მაგრამ დედამიწაზე არ არსებობს არც ერთი პარტია, რომელიც ამას ბოლომდე გააკეთებს მომავალ 4 წელიწადში. არ არსებობს არც ერთი დოქტრინა, რომელიც საქართველოს გახდის საშუალო დონის ევროპულ ქვეყანას. ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებს ამას, ეს იქნება აბსოლუტური ტყუილი.

> „დაპირებები ერთია, მაგრამ დედამიწაზე არ არსებობს არც ერთი პარტია, რომელიც ამას ბოლომდე გააკეთებს მომავალ 4 წელიწადში. არ არსებობს არც ერთი დოქტრინა, რომელიც საქართველოს გახდის საშუალო დონის ევროპულ ქვეყანას. ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებს ამას, ეს იქნება აბსოლუტური ტყუილი“

მეშვიდე გვერდიდან

მაგრამ, რაკი ავტოფარეხში კამერა დაამონტაჟა, ეს ნიშნავს, რომ ან საფრთხეს ელოდა, ან ბუნებით ფრთხილი ადამიანი იყო. სხვაგვარად არ გაირჯებოდა და თუ სადგომი მართლა შეიცვალა, იმ კამერას რატომ აღარ შეატრიალებდა მანქანისკენ? ან, თუ საჭირო იყო, რატომ არ გადმოიტანა ახალ ავტოსადგომთან ახლოს, თუ, დავუშვათ და, კამერა ძველი ადგილიდან ვერ აფიქსირებდა მის ავტომობილს? აი, ამ კითხვებისთვის პროკურატურას პასუხი გასაცემი აქვს. საფრთხე ელოდა თუ ბუნებით ფრთხილი კაცი იყო ეროსი კიწმარიშვილი, ორივე შემთხვევაში, ისე მოიქცეოდა ავტოსადგომის შეცვლისას, რომ მისავე დამონტაჟებულ კამერას ისევ მისი ავტოსადგომი და მანქანა დაეფიქსირებინა.

მთავარმა პროკურატურამ ისე დადო ეროსი კიწმარიშვილის თვითმკვლელობის საბოლოო დასკვნა, რომ დღემდე არ გაუცია პასუხი იმ კითხვებისთვის, რომელთა შესახებაც „ალია“ მისი გარდაცვალების მეორე დღიდანვე წერდა და ეს კითხვები საზოგადოებაში დღესაც აქტუალურია.

კერძოდ, პროკურატურის მტკიცებით, ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა „ჩეზე-75“ ტიპის იარაღით, რომელიც მკვლელობის წინა დღეს იარაღის მაღაზია „დიანაში“ შეიძინა. ეროსი იჯდა მძღოლის ადგილას, საფეთქელთან მიიბჯინა იარაღი და გაისროლა, – გვეუბნება გამოძიება. ასეთ შემთხვევაში, იარაღიდან ტყვიის გასროლის ტრაექტორიის თანახმად, ტყვიის მასრა მანქანის წინა მხარეს უნდა ეპოვათ. ამას კიწმარიშვილის საქმის ექსპერტი-ბალისტიკოსი, ზაზა ალთუნაშვილიც აცხადებდა. არადა, მასრა მანქანის უკანა სავარძელზე აღმოჩნდა. ეს ალოგიკური ფაქტი, რომელიც კიწმარიშვილს თვითმკვლელობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, დღემდე ამოუხსნელია. მე ის უფრო მჯერა, რომ ეროსი კიწმარიშვილი მოკლა მანქანის უკანა სავარძელში მჯდომმა ადამიანმა, საფეთქელზე მიაბჯინა იარაღი, მარჯვენა ხელით და გაისროლა, შესაბამისად, ტყვიის მასრა აღმოჩნდა უკანა სავარძელზე. მთელი მანქანა სისხლით იყო მორწყული. ამ დროს, მანქანის ფანჯარა, მძღოლის მხარეს, სადაც ეროსი იჯდა, ჩაწეული იყო. მანქანიდან ერთი წვეთი სისხლი არ გადმოვარდნილა და ძირს არ დაცემულა, რაც წარმოუდგენელია. ვერც ამ კითხვას გასცა პასუხი გამოძიებამ.

ცნობილია, რომ იარაღზე, რომლითაც ვითომ ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა, იყო რამდენიმე, უცხო პიროვნების დნმ-ის კვალი. პროკურატურა გვეუბნება, რომ „ჩეზე-75“ უცხოეთშია ნაყიდი და ეს კვალი, შესაძლოა, იქიდან შემოჰყვა იარაღს, მერე მაღაზიაშიც დაემატაო. მე გეტყვით, ამ შემთხვევაში რაც გააკეთა გამოძიებამ, რადგან ამ საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ვიცი. იარაღზე აღმოჩენილი დნმ-ის ნიმუში გამოძიებისთვის დიდი თავსატეხი აღმოჩნდა, ყველა იმ პიროვნებას, ვინც ეროსი კიწმარიშვილის ახლობელი იყო, ვისზეც ოდნავი ეჭვი ჰქონდათ, რომ კიწმარიშვილი შეიძლება მოეკლათ, ყველას აუღეს დნმ-ის ნიმუში, მაგრამ იარაღზე აღმოჩენილი კვალი არც ერთს არ დაემთხვა. გამოძიებამ ამის შემდეგ დაასკვნა, რომ დნმ-ის კვალი უცხოეთიდან შემოჰყვა იარაღს, ან იმ მაღაზიაში მოხვდა ეს კვალი, სადაც ის შეიძინეს, ან იარაღის ტრანსპორტირებისას. კი მაგრამ, ეს რატომ დაასკვნა გამოძიებამ? მე ვიტყვი, რომ დნმ-ის უცხო კვალი იარაღზე სწორედაც მკვლელს ეკუთვნის და აბა, დამიმტკიცოს საპირისპირო გამოძიებამ. აი, საპირისპიროს რომ ვერ ამტკიცებს, სწორედ ამიტომ, გამოძიება მოკლე და იოლი გზით წავიდა, დნმ-ის პატრონის, ანუ სავარაუდო მკვლელის ხანგრძლივი, მრავალნლიანი ძებნის ნაცვლად, ადგა და გადაწყვიტა, რომ დნმ-ის კვალი უცხოეთშივე მოხვდა იარაღზე და ეს ამოცანა ამით ამოხსნა, ძნელად გასახსნელი საქმე „გახსნა“ და საქმეც დაიხურა. დნმ-ის კვალი, შესაძლოა, ის გასაღებია, რომელიც ამ მკვლელობას გახსნიდა, საქმე არ უნდა დაუხურათ თვითმკვლელობის მუხლით, უნდა შემოედოთ თაროზე, როგორც გაუხსნელი საქმე და ამ საქმის გამომძიებლებმა თუ ვერ შეძლეს მკვლელის პოვნა, მომავალში ამას სხვები შეეცდებოდნენ და იქნებ მიეგნოთ კიდეც. თუმცა, როგორც კიწმარიშვილის ახლობლები ამბობენ, ისინი დღეს ჩაატარებენ ბრიფინგს, სადაც ისეთ საკითხებზე ისაუბრებენ, რაც გამოძიების გაგრძელების საფუძველი გახდება.

როგორ ეხმაურებიან „ფეისბუქში“ ეროსი კიწმარიშვილის საქმეზე პროკურატურის განცხადებას

გამოძიების ინფორმაციით, ეროსი კიწმარიშვილი მიზანმიმართულად თვითმკვლელობამდე არავის არ მიუყვანია და არავის არ მოუკლავს, მან თავი მოიკლა, – ამის შესახებ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი. თემას „ფეისბუქში“ ეხმაურებიან:

გია როინიშვილი:

ბოლთას ცემდა..... ორი დღეა ბოლთას ვცემ..... არ ვაპირებ თავის მოკვლას..... კიწმარიშვილი მოკლეს – დღეს გამიჩინა პროკურატურამ საფუძვლიანი ეჭვი! „რუსთავი 2“ დიდ საფრთხეშია!

ნუგზარ წიკლაური:

პროკურატურის ბრიფინგი კიწმარიშვილის ბოლთის ცემის ეკრანზე ჩვენებით, მობილურის და საფულის სახლში დატოვების ხაზგასმით და თვითმკვლელობის ვერსიის 200 000-იანი ვალით გამართლებით არის სრულიად უსუსური და დაუჯერებელი.

მკვლელობამდე ჩატარებულ ბრიფინგზე კიწმარიშვილმა პირდაპირ თქვა, რომ მისი სიცოცხლის შემთხვევაში ივანიშვილი „რუსთავი 2“-ს ვერ წაიღებდა. კიწმარიშვილმა აგრეთვე მოუწოდა ივანიშვილს, ტელევიზიაზე პრეტენზიის გამოთქმამდე მისთვის ჩაეხედა თვალებში.

ახლა კიწმარიშვილი მკვდარია და ვეღარ გახდება დაბრკოლება ივანიშვილისთვის.

პროკურატურის ბრიფინგით დადასტურდა ეჭვი, რომ გამოძიების მთავარი ამოცანა საქმის ჩაფარცხვა, მკვლელობის მიჩქმალვა იყო და არა სიმართლის დადგენა.

კიწმარიშვილის მკვლელობის საქმის შეწყვეტით პროკურატურამ გზა გაუხსნა „რუსთავი 2“-ზე ფინალურ თავდასხმას.

ჩვენ ბრძოლის მთავარი საგანი კი უახლოეს თვეებში „რუსთავი 2“ და თავისუფალი სიტყვის დაცვა იქნება.

ნინო ჯღარკავა:

აწი რაღა გეშველებათ „ნაცებოო“, საარჩევნოდ დებატებში ფრაზები, ბიძინამ მოკლა ეროსი კიწმარიშვილი, ვეღარ გამოგადგებათ, ახალი მოიფიქრეთ რამე, არ გაგიჭირდებათ თქვენი „ნიჭის“ პატრონებს:))

გადავხედე მთავარ ნიუსებს და სტატუსებს და ხალხის ყიჟინამ გამაოგნა ვალების გამო არ მოიკლავდა კიწმარიშვილი თავსაო, კარგად და ყურადღებით მოისმინეთ ბრიფინგი, ნახეთ პროკურატურის საიტზე გამოქვეყნებული მასალები და მტკიცებულებები, არავის უთქვამს თავი ვალების გამო მოიკლაოო, უბრალოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად შეისწავლეს მისი ფინანსური მდგომარეობაც და აღნიშნეს რომ სიკვდილამდე მისი ფინანსური მდგომარეობა იყო მძიმე! არავინ იცის რის გამო მოიკლა თავი, ეს იცის მხოლოდ იმ ადამიანმა ვინც დღეს ცოცხალი არაა! რაც გინდათ იწვალოთ, სხვა ვერსიებს ვერ შეთითხნით, სახეზე თვითმკვლელობაა და საქმის ძიებაც შეწყდა!

თამარ ჩერგოლეიშვილი:

რას ყვება ახლა პროკურატურა, ეროსი კიწმარიშვილს ფული არ ქონდა და თავი მოიკლაო?

პროკურატურას გონია, რომ მოუგვარა ბიძინას ეროსის მკვლელობის საქმე ხო? მულტფილმი. იარაღს რომ ყიდულობს, მაღაზიას ჩაწერილი არ აქვს?

ნანუკა ჟორჟოლიანი:

ბიძინა, გამოდი გიცანით. ფულის გამო თავის მოკვლის ვერსია მარტო შენ მოგივიდოდა თავში აზრად. ერთადერთი მიზეზი რის გამოც ალბათ თავის მოკვლა შეუძლია. ფინანსური კრიზისი

ეკა ხერხეულიძე:

ძვირფასო პროკურატურა, ვინაიდან ფული არასდროს არ მქონდა, 2007 წელს მეც გავბედე და კრედიტით ვიყიდე ბინა. შევუდექი გრაფიკით განსაზღვრული თანხის პატიოსნად გადახდას.

სად იყო და სად...

არა ქვეყანას უბედურებად თქვენ დაატყდით თავს. ლარი გაუფასურდა და ჩემი ხელფასიც ვეღარ ფარავდა სესხს. შემოსავალიც არ მქონდა, მხოლოდ ერთი წელია რაც ჩემი უფლებამოსილება სცნო პარლამენტმა, მაგრამ დაგროვილი დავალიანების დასაფარად, ბანკმა ბინა გადაიფორმა და შესაბამისად, ჩემი ახლანდელი ხელფასიც, ჩემგან დაუკითხავად, საურავების დასაფარად მიემართება. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასიდან არც ერთი თეთრი ჩემს მართვაში აღარ არსებობს, თავის მოკვლაზე კი არ ვფიქრობ, გაალმასებით ვიბრძვი თქვენნაირი მავნებლების მმართველობიდან ჩამოსაშორებლად. იცოდეთ, მაინც!

გიორგი ხაბურძანია:

ფულის ვერსია ბიძინას საყვარელი ვერსიაა. (ambebi.ge)

„თუ ჩემი მკვლელობაც ასე ახსნა პროკურატურამ, ვაცხადებ, თავის მოკვლაზე არ ვფიქრობ“

ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე გამოძიების დასრულებას „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლაო, პროკურატურამ.

მიზეზი: რთული ეკონომიური მდგომარეობა: 312 ათასი დოლარი და 120 ათასი ლარი ვალი და დაიპოთეკებული ქონება.

ბევრს იცინებდა კაცი, უკიდურესად ტრაგიკული რომ არ იყოს ვითარება.

პ.ს. თუ ჩემი მკვლელობაც ასე ახსნა პროკურატურამ, ღიად ვაცხადებ, რომ მე მეტი კრედიტი მაქვს და ყველაფერი ასევე დაიპოთეკებული, მაგრამ თავის მოკვლაზე ნამდვილად არ ვფიქრობ, - წერს გვარამია. (news.ge)

ნიკოლეიშვილი კიწმარიშვილის საქმეზე

დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე მიმდინარე გამოძიებაში ოჯახის თხოვნით იყო ჩართული, აცხადებს, რომ მომხდარის ადგილზე მეორე პირის ყოფნა მან ექსპერიმენტის შემდეგ ერთი წლის წინ გამორიცხა.

– ის, რომ იქ მეორე პირის ყოფნა გამოირიცხა, ეს დაახლოებით ერთი წლის წინ ვთქვი. ეს ჩემთვის სიახლე არ არის. ექსპერიმენტი რომ გავაკეთეთ, იქვე ვთქვი და არც დამიმალავს არავისთვის. ეს ექსპერიმენტი ჩემი ინიციატივით იყო, პირადად ჩემი გეგმა იყო ეს ექსპერიმენტი, რომელმაც გადამწყვეტად და ცალსახად აჩვენა, რომ იქ მეორე პირი ვერ იქნებოდა, გარედანაც ხელის შეყოფა, გამორიცხული იყო, იმიტომ, რომ სისხლის კვალი იყო ისე სპეციფიკურად განლაგებული, რომ ნებისმიერი ხელის შეყოფა ან შიგნით დაჯდომა - მაშინ იქს კვალი არ დარჩებოდა... მაგრამ თუ იქნებოდა თვითმკვლელობამდე მიყვანა, ეს პროკურატურისაა და მე არ შევდივარ მათ ფუნქციებში. მკვლელობა-თვითმკვლელობას მე ვერ ვიტყვი, ეს პროკურატურის საქმეა. როგორც ექსპერტმა, შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ იქ მეორე პირი არ ყოფილა, - აცხადებს ნიკოლეიშვილი. (news.ge)

„მკვლელობიდან სამ დღეში ლანა პაპიძემ ოქროულობა მოითხოვა“ - გამომძიებელი

მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილის მკვლელობაში ბრალდებულის მაგდა პაპიძის სასამართლო გრძელდება. სხდომათა დარბაზი ბრალდებულის დამ ლანა პაპიძემ პროტესტის ნიშნად დატოვა.

პაპიძემ აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ერთ-ერთმა გამომძიებელმა, რომელიც მოწმის სახით დაიკითხა, თქვა, რომ მკვლელობიდან სამ დღეში ლანა პაპიძე მას დაუკავშირდა ტელეფონით და მოიკითხა გამოძიების მიერ ბერძენიშვილის სახლიდან ამოღებული ოქროულობის ბედი.

– ლანამ როგორც მითხრა, მისი ოქროს ნივთებიც იყო ამოღებულ სამკაულებს შორის. ჩვენ არც ვგეგმავდით ჯერ მის დაკითხვას, ჭირისუფლების დაკითხვას პირველ დღეებში ვერიდებით ხოლმე, თუმცა რადგან თვითონ დამიკავშირდა, დავიბარეთ და დავკითხეთ. მასაც ეჭვი თავის დაზე ჰქონდა, - განაცხადა ნუგზარ ნათელაშვილმა.

ლანა პაპიძემ გამომძიებელის განცხადებას სიცრუე უწოდა. ბრალდებულის და ირწმუნება, რომ გამომძიებელთან 22 დეკემბერს არ დაურეკავს. (ნიუპოსტი)

ზურაბ კიწმარიშვილი: ეროსი კიწმარიშვილის საქმის დახურვა ნაჩქარევი იყო

ზურაბ კიწმარიშვილი აცხადებს, რომ მისი აზრით, თვითმკვლელობის ვერსია მცდარია და საქმის დახურვა ნაჩქარევი იყო.

– პროკურატურამ განაცხადა, რომ ეს იყო თვითმკვლელობა და რომ არავის მიუყვანია ეროსი თვითმკვლელობამდე. მთავარ მოტივად სახელდება ფინანსური პრობლემები. აღნიშნულს არ ვეთანხმებოდით პირველივე დღიდან და დღესაც არ ვეთანხმები, რომ ეროსიმ თავი მოიკლა. არგუმენტი, რის გამოც გამოძიების ოფიციალურ ვერსიას არ ვეთანხმები არის ის, რომ მას ქონდა უამრავი გეგმა. მე ვიცნობდი ჩემს ძმას, ვიცოდი რა პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ეროსი თავს არ მოიკლავდა. მართალია, ის დამარცხდა რუსთავის არჩევნებში, თუმცა ეს არ იყო მისი ძირითადი ამოცანა, ეს იყო გეგმის ერთ-ერთი ნაწილი და ამ გეგმების განხორციელებას განაგრძობდა, - განაცხადა ზურაბ კიწმარიშვილმა. (primetimenews.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

რა პრობლემებს წააწყდებიან მშობლები ბაღებში ბავშვების დარეგისტრირებისას

2016-2017 სასწავლო-სააღმზრდელო წელს თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში ბაგა-ბაღებში რეგისტრაცია 1-ელ ივლისს დაიწყება, ხოლო ელექტრონული რეგისტრაციის პროცესი ორ ეტაპად წარიმართება.

როგორც ბაღების მართვის სააგენტოში აცხადებენ, პირველი ეტაპი დაიწყება 1-ელ ივლისს, 13:00 საათზე, რა დროსაც დარეგისტრირდებიან შემდეგი კატეგორიის ბავშვები: პირველ რიგში – 100 000-ზე ქვევით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ბავშვები (სოციალურად დაუცველი); მეორე ჯერზე – ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები, შემდეგ – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები; მოგვიანებით – იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით; ამის შემდეგ კი – თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვები, თბილისის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების შუამდგომლობის საფუძველზე.

რეგისტრაციის მეორე ეტაპი 8 ივლისს, 13:00 საათზე დაიწყება და ელექტრონულად დარეგისტრირდება ყველა კატეგორიის ბავშვი. რეგისტრაცია შესაძლებელია მშობლის მიერ შერჩეულ მხოლოდ ერთ საჯარო ბაგა-ბაღში, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებგვერდზე.

რეგისტრაციის გავლას შეძლებს ყველა ის ბავშვი, რომელიც სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისში – 15 სექტემბერს (და არა რეგისტრაციის მომენტში) 2 წლის იქნება.

რა უნდა გაითვალისწინონ მშობლებმა საბავშვო ბაღებში ბავშვთა რეგისტრაციისას? რას ურჩევენ ექსპერტები მშობლებს?

„ალიას“ სკოლამდელი აღზრდის ექსპერტი, მზია ფაილოძე ესაუბრა:

– როგორც გასულმა წლებმა გვაჩვენა, საბავშვო ბაღებში დარეგისტრირების მსურველთა უდიდესი პრობლემა არის ის, რომ გამართულად არ მიმდინარეობს იმ საიტის მუშაობა, რომლის მეშვეობითაც ბავშვები უნდა დაარეგისტრირონ. იყო შემთხვევები, როდესაც რეგისტრაციის დაწყებისთანავე აჩვენებდა, რომ რეგისტრაცია უკვე დასრულებული იყო.

ყველა გასულმა წელმა გვაჩვენა, რომ კონკრეტულ რაიონებში, რეგისტრაციის მსურველი ბავშვების რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ადგილები, რაც ძალიან დიდი პრობლემა იყო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დასაქმებული არიან, იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ ერთ რაიონში, ბავშვს ტოვებდნენ მეორე რაიონში და სამსახურში მიდიოდნენ მესამე რაიონში.

ამის შემდეგ, ბაღების სააგენტომ გამოიმუშავა ასეთი სპეციფიკა – ვინც სასურველ საბავშვო ბაღში ვერ მოხვდებოდა, განცხადებით მიმართავდა საბავშვო ბაღის დირექტორს, რომ ბავშვი შეეყვანათ სარეზერვო სიაში. თუმცა, დიდად მოხერხებული ვერც ეს ნესია, იმიტომ, რომ მშობელი უნდა ელოდოს, განთავისუფლდება თუ არა ადგილი იმ კონკრეტულ საბავშვო ბაღში, რომ შემდეგ მისი შვილი ჩასვან. შარშან იყო შემთხვევა, როცა აგვისტოს ბოლოს, ყველა ჯგუფში, სათათბიროს გადაწყვეტილებით, დაამატეს 5-5 ბავშვი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამან პრობლემა დიდად გამოასწორა.

საერთო ჯამში, ეს ელექტრონული სისტემა არ არის ცუდი, იმ შემთხვევაში, თუკი ის გამართულად იმუშავებდა. იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვის მიყვანა უნდოდა მშობელს, მაგრამ მას გარკვეული ბარიერები ხვდებოდა კორუფციის სახით. ეს წესი მისწრება იქნებოდა, ასეთი დაბრკოლებები რომ მოესპოთ, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს სისტემა მუშაობს ხარვეზებით და ამავდროულად, ამას ემატება მშობლების ფაქტორი – ძალიან ბევრმა მშობელმა არ იცის საბავშვო ბაღების მდებარეობა და სადაც კი თავისუფალ ადგილს ნახავენ, არეგისტრირებენ, მერე აღმოაჩენენ ხოლმე, რომ თურმე არ აწყობდათ ესა თუ ის ბაღი, მიდიან ამ ბაღებში, აკეთებენ ამორიცხვას, ეძებენ სასურველ საბავშვო ბაღს და ასე ურთულებენ საქმეს საკუთარ თავსაც და სხვასაც.

ძალიან ბევრ მშობელს, საერთოდ არ აქვს ინტერნეტი, ბევრმა არ იცის რეგისტრაციის წესები, ბავშვის სახელი და გვარი ვერ შეჰყავთ, ასევე, ბევრჯერ ყოფილა, რომ ერთი ბავშვის მონაცემები 3-4 ადამიანს ჰქონდა და ასევე, 3-4 ადგილზე არეგისტრირებდნენ.

— რამდენად გამორიცხავს კორუფციის შანსს ეს ფორმატი?

– საქმე ისაა, რომ ამ საქმეში ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული, რომლებსაც, სხვადასხვა ხერხებით შეუძლიათ გააკეთონ ის, რაც მათთვისაა სასურველი. ვგულისხმობ ბავშვების გარიგებების საფუძველზე რეგისტრაციას და ა.შ. რისი ეჭვის საფუძველსაც იძლევა ის, რომ სისტემა ჩართვიდან ცოტა ხანში იჭედება, ან კიდევ ჩართვისთანავე შევსებულია ადგილები.

— რაც შეეხება საბავშვო ბაღების კვების ბლოკებს. ბოლო დროს არაერთხელ გაავრცელეთ სკანდალური ინფორმაციები, რომ უხარისხო საკვები შეაქვთ. რა ხდება ამ ეტაპზე, გამოსწორდა სიტუაცია?

– კვების ბლოკი ის საკითხია, რომელიც არასდროს იქნება ნორმაში. იქ, სადაც კვების ბლოკია, ყველგან არის რაღაც ლაფსუსები. ჯერ კიდევ უამრავი ხარვეზების გამოვლინება ხდება. აუცილებლად გადასახედია კვების ნორმები. არ შეიძლება, ამდენი საკვები იყრებოდეს ნარჩენებში და ეს საკითხი სექტემბრამდე უნდა მოგვარდეს.

— ბაღების განთავისუფლებულმა ხელმძღვანელებმა ბოლო დროს არაერთი აქცია გამართეს, ხელმძღვანელობასაც შეხვდნენ, საკრებულოს თავმჯდომარესაც... მოგვარდა ეს საკითხი?

– რაც შეეხება საკადრო საკითხს, მე ვიცოდი, რომ დირექტორებისა და მოადგილეების განთავისუფლებების ეტაპი დასრულებული იყო. საუბარია იმ კადრებზე, რომლებიც „ნაციონალების“ დროს დაინიშნენ თანამდებობებზე, მაგრამ როგორც გავარკვიე, ეს ეტაპი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. რაში სჭირდებათ წინასაარჩევნოდ ამ საკითხზე მორგი ვნებათაღელვა, არ ვიცი და არ მესმის. გაუგებარია, რატომ ჰგონიათ, რომ, თუ იმ ძველ კადრს გაათავისუფლებენ და მათ მიერ მოყვანილს დანიშნავენ, ის უკეთესად იმუშავებს არჩევნებზე.

უნდა დასრულდეს ასეთი მიდგომა და უნდა დასრულდეს საბავშვო ბაღების, სკოლების და ა.შ. პოლიტიკაში ჩართვა. ეს ყველაფერი ძალიან ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს. ნამდვილად არ არის საჭირო, საბავშვო ბაღებში კოორდინატორები მუშაობდნენ.

„საერთო ჯამში, ეს ელექტრონული სისტემა არ არის ცუდი, იმ შემთხვევაში, თუკი ის გამართულად იმუშავებდა. იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვის მიყვანა უნდოდა მშობელს, მაგრამ მას გარკვეული ბარიერები ხვდებოდა კორუფციის სახით. ეს წესი მისწრება იქნებოდა, ასეთი დაბრკოლებები რომ მოესპოთ, მაგრამ სისტემა მუშაობს ხარვეზებით“

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1.სამ-კურნალო დასასვენებ. სახლი
2. ძაფებით სამართავი თოჯინა
3. დაყაჩაღება
4. იაპონური ორთა-ბრძოლა
5. ქალაქი შიდა ქართლში
6. იაპონური თეატრი
7. მსხლის ჯიში
8. მსახიობი ... ჰოუკი
9.„მონა-დირე“ ფოტო-გრაფი
10. სამხედრო წოდება
11. ვაჟიშ-ვილი
12.თვით-მფრინა-ვიდან გადმო-სასტომი
13.კუ-რორტი ჩეხეთში ...-ვარი
14.მხ/ფ „... რეისი“
15. იაპონელი თვითმკ-ლელი
16.„... უბნის მელო-დიები“
17. სოფელი გურჯაა-ანის რაიონში
18. სანთლის მასალა
19. ძაღლის ჯიში
20. ტუალეტის წყალი
21.მო-ცეკვავე ნინო ...
22. სლავური ანბანი
23. მტერზე დანებება
24. ოპერის თეატრი მილანში
25. ჩაროზი
26.სამ-კაციანი ანსამბ-ლი
27. კაკაოიანი კანფეტი
28. მანეთის მეასედი
29. წამალი საცნი
30. მომლოც-ველი
31. მხატვარი ნელი ...
32.ფეხ-ბურთელი ფაბრიციო ...
33. მსახიობი ... ბრინერი
34. მდინარე ინდო-ეთში
35. მსახიობი ... ჯადი
36. რა განისა-ზღვრე-ბა საათით
37. გემის მზარეული
38.უკ-რაინული ავტომობ-ილი
39. ცხოვე-ლების ექიმი
40. ცისარ-ტყელას ფერი
41. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
42.ორ-თაგან ერთ-ერთი, ანუ ...
43. დანიის დედაქა-ლაქი
44. შარლ პერროს ზღაპარი
45. მსახიობი ... კილმერი
46. ამოსახ-ველებელი სითხე
47. ნოდარ დუმბაძის რომანი
48.მსახ. ... საკან-დელიძე
49. ლაშქარი
50. ლექსის სტროფი
51. მსახიობი ... ფარულავა
52.ქორე-ოგრაფი მარის ...
53. გაერთი-ანება
54. იაპონური ხალათი
55. მსახიობი ... დელონი
56. ქალაქი დას. საქართ.
57.გვერ-დებს სიგრძეების ჯამი
58. მხატვარი ანრი ...
59. კათოლი-კური ეკლე-სიის მღვდე-ლი საფრან-გეთში
60. წყლის სალება-ვები
61. „... გრძელი ნინდა“
62. ძვირფასი ქვა
63. მსახიობი ... სორვინო
64. მწვანილი
65.„... ოკეანის საიდუმ-ლოება“
66. მსახიობი ანუკ ...
67. მხ/ფ „... ხვიტია“
68. რაჯას მეუღლის ტიტული
69. სიმინდის ფქვილის კერძი
70. ტურ ჰეიერ-დალის პაპირუ-სის გემი
71. გემის ზურგის ნაწილი
72.ადა-მიანის მსგავსი მაიმუნი
73. ლიბანის დედაქა-ლაქი
74.ჩოგ-ბურთელი ... კურნიკოვა
75.ქართ. ესტრადის მომღე-რალი
76.ხმა-დაბალი ჟღერადობა მუსიკაში
77.ქართ. ანბანის ბოლო ასო
78. მწერალი აგატა ...
79. ბოსტ-ნეული
80.ლეო ქიაჩელი. „ჰაკი ...
81. აბელის მკვლელი
82.ვაზის ტოტი ორი მტევნით
83. ონისეს როლში ნუგზარ ...
84. სამაგიდო თამაში
85.პოეტი ... მირცხუ-ლავა
86.მი-მართვა ვაჭრე-სადმი ძველად
87. რუსული ხის სათამაშო
88. მსახიობი ... ასანტე
89. პრო-ვინცია კანადაში
90.ხორბლის შესანანი შენობა
91. საბაჟო აჭარაში
92. კათხა
93. საქონლის პატივი
94. ტელე-კომკი
95.მსახ. ... მაკგრე-გორი
96. ფრინველის რქოვანა პირი
97. საფავსო შენობის საძირკ-ველში
98. მზის სისტემის პლანეტა
99. მიწის თხილი
100.ალ-ბანეთის დედაქა-ლაქი
101.მისი დედაქა-ლაქია ჯაკარტა
102. ჭამის სურვილი
103. ინდური კაბა
104. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
105. მწვანილი
106. სასწავლო დანაყო-ბულება
107. ძვირფას-ბეწვიანი ცხოველი
108. აწჩხლი
109. ... სჯობია ლონესა
110. ფრედი მერკურის ანსამბლი
111. „მატრიცა“ წინასწარ-მეტყველი
112. ქვეყნი-ერება (ბოძვ.)
113.ჩოგ-ბურთელი იანიკ ...
114.რე-ჟისორი ალექსა-ნდრ ...
115. ფაიფურის თეთრი თიხა
116. მედეა ჩახავა ფილმში
117. ხმამა-ღალი სიცილი
118. მეფის ქალიშ-ვილი
119. მონას-ტერი ტაოში
120. გერმა-ნიის დედაქა-ლაქი
121. იაპონური ავტომო-ბილი
122. მსახიობი ... დე ფიუნესი
123.მომ-ღერალი ... კლასი
124. ბარაქა
125. ბალახის მოსათიბი იარაღი
126. ... კაჩინსკი
127. სასუნთქი აირი
128. ნასესხები ფული
129. მაიმუნის სახეობა
130. რეპტილია
131. ქალალდის ფორმატი
132. სომეხი რევოლუ-ციონერი
133. მთიდან დაშვე-ბული თოვლი
134. მსახიობი ... აფლეკი
135. მსახიობი ... აბაშიძე
136. მდინარეზე გასას-ვლელი
137. მოსამარ-თლის მოსასხამი
138. თბილისის უბანი
139.მწვანე კაციჭა-ჭია მულტ-ფილმში
140. მწერალი ... კიზი
141.მო-ჭადრაკე მიხეილ ...
142. იანის საპირის-პირო
143.„მე ეხედავ მზეს“ პერსონაჟი
144. მწერალი ტომას ... რიდი
145.ბრემ სტოკერის ნანარ-მოები
146. საზოგა-დოების მაღალი ფენა
147. ტბა ლოხ-...
148. ყვავილი

ვერტიკალი: 1. სანდამორაგი 2. ბარიოლეგი 3. მეტმეტრი 4. კოლიმენტ 5. ხარკოვი 6. ალენი 7. ბულგარეთი 8. ფლეი 9. ბალერინა 10. ფაიფოი 11. ძე 12. ბამოდენ 13. ალოდაგა 14. ზოლოვანი 15. ალბანეთი 16. ვეფხი 17. ბოკუბანი 18. ცვლილი 19. ბოლოვანი 20. ფალალოდოი 21. ანარეგოლი 22. ბოლოდოი 23. ალისენტალია 24. ლიკალი 25. ფლეიტა 26. ბრაზილია 27. ბალალაკი 28. ბალალი 29. ბალალი 30. ალოდაგა 31. ოქროსანი 32. ბალალი 33. ბალალი 34. ბალალი 35. ბალალი 36. ბალალი 37. ბალალი 38. ბალალი 39. ბალალი 40. ბალალი 41. ბალალი 42. ალენტალი 43. ალენტალი 44. „კოლეი“ 45. ველი 46. ალოვე; 47. „ბენალალა“ 48. ალოლა; 49. ალი; 50. ბენალალი 51. ალ 52. ლოვალალი 53. ბალალ 54. ბალალ 55. ალენტალი 56. ბალალ 57. ბენალალი 58. ბალალ 59. ალ 60. ბალალ 61. ბალალ 62. ბალალ 63. ბალალ 64. ბალალ 65. ბალალ 66. ბალალ 67. ბალალ 68. ბალალ 69. ალ 70. ალ 71. ალ 72. ბალალ 73. ბალალ 74. ალ 75. ბენალალ 76. ბალალ 77. ალ 78. ბალალ 79. ბალალ 80. ბალალ 81. ალ 82. ბალალ 83. ბალალ 84. ბალალ 85. ალ 86. ბალალ 87. ბალალ 88. ბალალ 89. ალ 90. ალ 91. ბალალ 92. ბალალ 93. ბალალ 94. ბალალ 95. ალ 96. ბალალ 97. ბალალ 98. ბალალ 99. ბალალ 100. ბალალ 101. ბალალ 102. ბალალ 103. ბალალ 104. ბალალ 105. ბალალ 106. ბალალ 107. ბალალ 108. ალ 109. ბენალ 110. „ენალ“ 111. ბალალ 112. ბენალ 113. ბალ 114. ბალ 115. „ენალ“ 116. ბალ 117. ენალ 118. ბალ 119. ბალ 120. ბენალ 121. „ბალალ“ 122. ალ 123. ბალალ 124. ბალალ 125. ბალალ 126. ალ 127. ბალ 128. ALENTALI 129. ALENTALI 130. ALENTALI 131. ALENTALI 132. ALENTALI 133. ALENTALI 134. ALENTALI 135. ALENTALI 136. ALENTALI 137. ALENTALI 138. ALENTALI 139. ALENTALI 140. ALENTALI 141. ALENTALI 142. ALENTALI 143. ALENTALI 144. ALENTALI 145. ALENTALI 146. ALENTALI 147. ALENTALI 148. ALENTALI

მსოფლიოში ყველაზე მაღალმა ადამიანმა ცოლი მოიყვანა

მართალია, საქართველოში სულ სხვა ადამიანის მეორე ნახევარი, ცოლი თუ „გელფრენდი“ აინტერესებთ, მაგრამ ამოვიდა ყელში ეს პოლიტიკა და არჩევნები და ვნახოთ, მსოფლიოში რა ამბებია ცოლქმრული კავშირების მიმართულებით.

მის შესახებ ადრეც მოგვიყოლია, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანის წოდება, გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, ეროვნებით თურქ მამაკაცს, 30 წლის სულთან კოსენს ეკუთვნის – 2,52 მეტრია და იმიტომ.

ჰოდა, რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, გადასარევი სიახლე აქვს გოლიათს – დიბო მერვეზე იქორწინა.

ცნობილია, რომ თურქ გიგანტს პირად ცხოვრებაზე ხელი დიდი ხნის წინ ჰქონდა ჩაქნეული, რადგან გასაგები მიზეზების გამო, მას ყველა ქალი ერიდებოდა. გავიდა დრო და დღეს უკვე სულთანი ბედნიერების მეცხრე ცაზეა – როგორც იქნა, მან გულისსწორს მიაგნო, რომელიც რეკორდსმენზე ლამის 80 სანტიმეტრით დაბალია.

როცა სულთანი საყვარელი ადამიანის ძებნის ამბებს იხსენებს, ამბობს, რომ წუხს, საკუთარი სიმაღლის შესაფერის გოგონას რომ ვერ მიაგნო, თუმცა დიბოს გამოჩენით მაინც ძალიან ბედნიერია.

– მთავარი ოცნება ავისრულე, ახლა კი ჩემი შესაფერისი ავტომობილი უნდა მოვძებნო და ყველაფერი კარგად იქნება, – ამბობს თურქი გოლიათი.

როგორც იქაური მედია აღნიშნავს, სულთან კოსენი იმდენად პოპულარულია, რომ მის ქორწილში არაერთი ცნობილი ადამიანი იყო მისული. მათ შორის, ქვეყნის პრეზიდენტი, რელიგიური ლიდერები, ბიზნესმენები და სხვები.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ თურქი რეკორდსმენი იშვიათი დაავადების მსხვერპლია, სახელწოდებით გიგანტიზმის ჰიპოფიზი, რის გამოც მისი ორგანიზმი მუდმივად ზრდის ჰორმონს გამოიმუშავებს.

ექიმების განმარტებით, გიგანტური სიმაღლის მიზეზი ჰიპოფიზის სიმსივნეა, რომელიც პაციენტს მათ 2008 წელს ამოკვეთეს.

mainfun.ru

ამერიკაში გაიხსნა პირველი უხმო... მოტოტრეკი

სულ იმას წუხდა ვაჟა ზაზაევიჩი – ფეხბურთი გამიგია, წყალბურთიც გამიგია, მაგრამ ეს მოტობურთი რა უბედურებაა... ახლა ჩვენ ასე ვთქვათ: უხმო შეიძლება იყოს ფეხბურთის სტადიონი, როცა დაგინებული იქნება, ხმა არავინ ამოიღოსო. ანალოგიურად შეიძლება მოხდეს წყალბურთელების შემთხვევაშიც, მაგრამ რაც არ უნდა დაიგინო, მოტოციკლს ხმა არ ჰქონდეს მოტოტრეკზეო, გამოვა ეს ამბავი, როგორ ფიქრობთ?

არა, გამოვა კი არა, უკვე გამოვიდა – ამერიკაში გაიხსნა პირველი უხმო... მოტოტრეკი.

ალბათ, ვინც მოტოტრეკის სიახლოვეს ცხოვრობს, რომ ვთხოვოთ, „მეზობელი“ აღგვიწერეო, ერთი სიტყვით შემოიფარგლება: „ხმაური“. თუმცა ამერიკის ქალაქ პენროუზში მართლაც ძალიან უჩვეულო ტრეკი არსებობს, რომელიც, ამ მხრივ, უსიამოვნებებს არავის უქმნის.

ერთი შეხედვით, პენროუზის მოტოტრეკი სხვებისგან არაფრით გამოირჩევა: მსგავსია ტრამპლინები, აღმართები, დაღმართები... მაგრამ საერთოდ არ ისმის ძრავის ღმუილი. თქვენ წარმოიდგინეთ, ვინც ტრასასთან უშუალო სიახლოვეს დგას, ხმის აწევის გარეშე შეუძლია მეგობარს დიალოგი გაუბას. ყველაფერში „დამნაშავე“ ის არის, რომ თითოეული მოტოციკლი, რომელიც ტრეკზე გამოდის, 100 პროცენტით ელექტროა.

უხმო მოტოტრეკი არცთუ დიდი ხნის წინ გაიხსნა და უკვე ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს – ის, ვისაც საკუთარი ელექტრომოტოციკლი ჰყავს, შეუძლია, დღეში 10 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ, იქ მთელი დღე დაჰყოს. ხოლო ვისაც ამის საშუალება არ აქვს, შეუძლია სასურველი მოტო დღეში 35 დოლარად იქირაოს.

drunov.ru

ხელოვნური განაყოფიერება: თანდაყოლილი დეფექტების რისკი

ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში დამხმარე რეპროდუქტიული ტექნოლოგიების წყალობით 3,7 მილიონზე მეტი ბავშვი იბადება. ჩვეულებრივ, სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ, ამტკიცებენ, რომ პროცედურები ყოვლად უსაფრთხოა და ეს ბოლო მომენტამდე ყველას ასე ეგონა. აი, ავსტრალიელი მეცნიერების აღმოჩენამ კი სიტუაცია რადიკალურად შეცვალა – მათი მტკიცებით, ხელოვნური განაყოფიერების შედეგად, ბავშვებში გაცილებით ხშირია თანდაყოლილი დეფექტები და სხვა პათოლოგიები.

ადელაიდას რობინსონის სახელობის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა უპრეცედენტო მასშტაბების მქონე კვლევა ჩაატარეს. მათ 1986 წლიდან 2002 წლის ჩათვლით მშობიარობისა და ფეხმძიმობის შეწყვეტის 327 ათას 420 შემთხვევა შეისწავლეს. მათ პირველად შეადარეს თანდაყოლილი დეფექტების სიხშირე ხელოვნურ განაყოფიერებას და ასევე, უნაყოფობის მკურნალობის სხვა მეთოდებს.

მიღებული შედეგებიდან ირკვევა, რომ ხელოვნური განაყოფიერებისას თანდაყოლილი დეფექტების გაჩენის რისკი 8,3 პროცენტია მაშინ, როცა ბუნებრივი ფეხმძიმობის დროს ანალოგიური რისკის მაჩვენებელი 5,8 პროცენტია.

მართლაც უპრეცედენტო მასშტაბების მქონე კვლევა ბოლომდე მიყვანილი ჯერ კიდევ არ არის. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ იმის დადგენას, რატომ ახლავს თან ხელოვნურ განაყოფიერებას თანდაყოლილი დეფექტები, რათა შემდგომში უკვე კონკრეტულ მიზეზებთან ბრძოლა დაიწყონ.

vesti.ru

სულ მალე მანქანები ძველი... გაზეთებით ივლიან

ხედავთ, როგორი სასარგებლო შეიძლება იყოს გაზეთი? ჯერ იყიდი, წაიკითხავ, გაიგებ უამრავ ამბავს, სიახლეს, სკანდალს, შემდეგ კი მას მანქანაში „ჩაასხამ“.

მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, არცთუ შორეულ მომავალში შესაძლებელი გახდება, ძველი გაზეთებისგან ავტომობილის საწვავი დამზადდეს. უფრო რომ დავაზუსტოთ, გაზეთისგან შესაძლებელი ყოფილა ბაქტერიის ახალი შტამის მიღება, რომელიც, თავის მხრივ, ბიოსაწვავს გამოიმუშავებს.

ახალი მიკროორგანიზმები, რომელსაც სახელად „ტუ-103“ მიიღეს, ნიუ-ორლეანის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში აღმოაჩინეს.

სიახლის ავტორების თქმით, ბაქტერია ცელულოზას, რისგანაც გაზეთი შედგება, ბუთანოლად აქცევს, რომლითაც ბენზინის ჩანაცვლება შეიძლება.

– ცელულოზას ყველა მწვანე მცენარე შეიცავს. ეს არის ყველაზე გავრცელებული ორგანული მასალა დედამიწაზე. ამდენად, ძალიან ბევრი ოცნებობს, იპოვოს მეთოდი, რომ ცელულოზა ბუთანოლად აქციოს, – განმარტავენ ამერიკელი მეცნიერები.

მართალია, ცელულოზასგან სხვა ბიოსაწვავის – ეთანოლის მიღებაც შეიძლება, თუმცა სპეციალისტების თქმით, ბუთანოლი მას ბევრი პარამეტრით ჯობნის. მაგალითად, ბუთანოლი ეკოლოგიურად გაცილებით სუფთაა, ვიდრე ეთანოლი.

სამწუხაროდ, იმას ვეღარ გეტყვით, როდიდან დაიწყება გაზეთისგან ბიოსაწვავის წარმოება, თუმცა მეცნიერების მიერ დასახელებული „უახლოესი მომავალი“ გულს მაინც სასიამოვნოდ ხვდება.

auto.utro.ru

იახტა, რომელიც 3 მილიარდი ფუნტი ღირს

ვისაც რა ოდენობის თანხა აქვს ჯიბეში თუ პირად ანგარიშზე, იმაზე ორჯერ და ასჯერ მეტიც ჰქონოდეს, მაგი ჩვენ არ გვეწყინოს, მაგრამ რაში დახარჯავ ფულს, ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, არა?!

აი, მაგალითად, მალაიზიელმა ბიზნესმენმა 3 მილიარდი ფუნტი სტერლინგი დახარჯა იახტაზე, რომელსაც ოქროსა და პლატინის უამრავი დეტალი აქვს მიღებული.

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, იახტის დამზადებას დაახლოებით 100 ტონა(!) ძვირფასი ლითონი იქნა გამოყენებული. მაგალითად, მისი ღუზა მთლიანად... სუფთა ოქროსგან არის შექმნილი.

იმისთვის, რომ დაკვეთა შეესრულებინა და იახტა მოოქროვილიყო, ლივერპულელ იუველირს სტიუარტ ჰიუზს 3 წელი დასჭირდა.

ცნობილია ისიც, რომ კაიუტაში არაერთი დეტალი... ტირანოზავრის ძვლებითაა გაფორმებული.

სამწუხაროდ, კატასტროფულად ძვირფასი იახტის მფლობელის ვინაობა არ ზუსტდება.

drunov.ru

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

ახალი მოწყობილობა ადამიანს დელფინთან ურთიერთობის საშუალებას მისცემს

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ დელფინი დედამიწაზე მობინადრე ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი არსებაა, რომელსაც შეუძლია, თანამოძმეებს ერთგვარი სტვენის მეშვეობით ეკონტაქტოს.

სწორედ ამის გათვალისწინებით, იაპონელმა მეცნიერებმა იუკა მისიმას ხელმძღვანელობით, შექმნეს მოწყობილობის პროტოტიპი, რომელიც გამოსცემს აბსოლუტურად ყველა ხმას დელფინების „ლექსიკონიდან“.

საუბარია პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ მოწყობილობაზე, რომლის დახმარებითაც, ადამიანი დელფინთან „დალაპარაკებას“ შეძლებს. კერძოდ, მას შეუძლია ზუსტად დააფიქსიროს წყალში ხმების ტალღების ფორმა. დელფინების შეტყობინება დამოკიდებულია სწორედ სივრცითი სტრუქტურის ფორმაზე, რომელიც წყალში ხმოვან ტალღებს წარმოქმნის.

მეცნიერების განმარტებით, ევოლუციის პროცესში დელფინებმა ხმოვანი მონაცემების „დეკოდირება“ ისწავლეს, რომლის გაშიფვრას ადამიანები იაპონელების გამოგონების დახმარებით შეძლებენ.

– არსებობს არაერთი მტკიცებულება იმისა, რომ დელფინებს შეუძლია ხმების დახმარებით „დანახვა“, დაახლოებით ისე, როგორც ადამიანს შეუძლია ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი დედის საშვილოსნოში ულტრახმოვანი აპარატით დაინახოს. ჩვენი მოწყობილობა საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ, რას „ხედავენ“ დელფინები ხმის დახმარებით, – ასე განმარტავენ მოწყობილობის არსს იაპონელი გამომგონებლები.

wordscience.org

მკაცრი გრაფიკით კვება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკვების შემადგენლობა

უხ, ვინც დიეტები მოიგონა, ისე ძალიან გავუბრაზდებოდით, რომ ვიცნობდეთ, სულ ტალახში ვაგორავებდით, მაგრამ რას ვიზამთ, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის. რას ვიზამთ და რა უნდა ვქნათ და კარგად უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ, როცა ბევრი მიზეზის გამო, დიეტის დაცვაა აუცილებელი.

ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია საკვების მკაცრი გრაფიკით მიღება, ვიდრე მისი შემადგენლობა.

მოსაზრების ავტორები ამბობენ, რომ, თუკი ადამიანი შეძლებს და საკვების მიღების დროს მკაცრად განსაზღვრავს, იგი ცხოვრების წესსაც შეიცვლის და ზედმეტ კილოგრამებს ძალიან ადვილად მოიშორებს.

lifeukr.net

იაპონელებმა გამოიგონეს განსაკუთრებული სათვალეები... გახდომისთვის

სწორედ სათვალეზე ამყარებენ უდიდეს იმედებს ამომავალი მზის ქვეყანაში, თუმცა არ იფიქროთ, უბრალო სათვალეზე იყოს საუბარი.

როგორც ირკვევა, ტოკიოს უნივერსიტეტში სპეციალური სათვალე გამოიგონეს, რომელიც თავის პატრონს გახდომაში დაეხმარება.

გამოგონების ავტორია მიჩიტაკა ჰიროსი და მისი გუნდი, რომელთა განმარტებითაც, სათვალე მხედველობისთვის ადიდებს ან აპატარავებს საკვებს, რომელსაც ადამიანი მიირთმევს. ამასთანავე, სრულად ნარჩუნდება ადამიანის ხელებისა და გარემოს ნორმალური პროპორციები.

კვლევებმა აჩვენა, რომ, როცა ადამიანი სადილობისას ასეთ სათვალეს იკეთებს, გაცილებით ნაკლებს ჭამს, ვიდრე ჩვეულებრივ სიტუაციაში, ანუ სათვალის გარეშე. კერძოდ, საუბარია დაახლოებით 10-პროცენტიან სხვაობაზე, რომელიც დიეტოლოგების განმარტებით, სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი არ გასუქდეს.

თავად ამომავალი მზის ქვეყანაში სიმსუქნის პრობლემა ისე მძაფრად არ დგას, როგორც, მაგალითად, ევროპასა და ამერიკაში. სწორედ ამიტომ, ალბათ, პირველ რიგში, სათვალეები დასავლეთში გაიყიდება, თუმცა რა იქნება მისი ფასი, ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია.

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

mignews.com

ჰ ო რ ო ს კ ო პ ი

ვერძი 21.03-21.04

23 ივნისი: თუ ვინმე თქვენი მოქმედებების განმარტებას მოგთხოვთ, შეეცადეთ, ხუმრობაში გაატაროთ. საჭირო არ არის, თქვენი გეგმები გაამხილოთ.

ხარი 22.04-21.05

23 ივნისი: გარისკვის დაუოკებელი სურვილი გაგიჩნდებათ, თუმცა თქვენი შინაგანი ხმა ამის წინააღმდეგი იქნება. შეეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ.

ტყუპები 22.05-21.06

23 ივნისი: შეიძლება საკმაოდ საეჭვო პერსონა აღმოჩნდეთ. თუ უცნაურ ქმედებებს ვერ ეშვებით, განმარტოვდით მაინც, რომ უნებლიეთ ვინმეს არ აწყენინოთ.

ლომი 23.07-22.08

23 ივნისი: დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, რომ საქმიანობას შეუდგეთ. თუ ეს მოახერხეთ, გვიან საღამომდე ძალიან აქტიური იქნებით.

ქალწული 23.08-22.09

23 ივნისი: კარგი დღეა იმისთვის, რომ მცირე ენერგიითა და სახსრებით სასურველ მიზანს მიაღწიოთ. იმის დროც დაგრჩებათ, რომ ამით იამაყოთ.

ცხრა 23.09-22.10

23 ივნისი: შეიძლება რაღაც მომენტში ჩათვალოთ, რომ ჭკუიდან გადადიხართ. თავი ხელში აიყვანეთ, ეს გონების დროებითი დაბინდვაა და სხვა არაფერი.

ლორიანსკორპიონი 23.10-21.11

23 ივნისი: შეეცადეთ, შინაგან ხმას, გულის კარნახს მიენდოთ, თუნდაც, დღეს მაინც. ასე, დღევანდელი დღის წარმატებით დასრულების მეტი შანსი გექნებათ.

მშვილდოსანი 22.11-21.12

23 ივნისი: არაფერი დაიჯეროთ, რასაც საკუთარი თვალით არ ნახავთ. სხვის ნათქვამზე დასკვნების გაკეთება ისეთივე სახიფათო, როგორც წაუკითხავ დოკუმენტზე ხელის მოწერა.

თხის რქა 22.12-19.01

23 ივნისი: თქვენს გარშემო შეიძლება მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდეს, მაგრამ თქვენ არ შეგეხებათ, თუკი ასეთ სურვილს თავად არ გამოხატავთ.

მერწყული 20.01-18.02

23 ივნისი: საეჭვოა, რაიმე სერიოზულის გაკეთების სურვილი და მონდომება გაგიჩნდეთ. დროს ტყუილად ნუ დაკარგავთ, აზრები მოიწესრიგეთ და იმოქმედეთ.

თევზები 19.02-20.03

23 ივნისი: მთელი კონცენტრაცია ერთ საქმეზე მოახდინეთ, თუკი ენერგიის ფუჭად დაკარგვა არ გსურთ. ყველაფერს ერთდროულად ვერ გამოასწორებთ.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის

დარეკეთ: 577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ცხოვრების არაჯანსაღი წესი — პირდაპირი გზა ინსულტისკენ



თავისთავად ცხადია, არ არსებობს დაავადება, რომელიც სასურველია, მაგრამ ინსულტი მაინც ერთ-ერთი ყველაზე არასასურველია სხვა დანარჩენებთან შედარებით.

სწორედ ამ დაავადებასთან დაკავშირებით ჩაატარეს კვლევა ბრიტანელმა მეცნიერებმა, რომლებიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ ცხოვრების არაჯანსაღი წესი პირდაპირ უწყობს ხელს და ორჯერ ზრდის ინსულტის გაჩენის რისკს.

სპეციალისტების განმარტებით, სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის ხშირი მიღება, დაბალი ფიზიკური აქტიურობა და ასევე, ხილისა და ბოსტნეულის არასაკმარისად მოხმარება, ინსულტის განვითარების ძალიან დიდ რისკს ბადებს.

ბრიტანელების მიერ ჩატარებულ კვლევაში 40-დან 79 წლამდე ასაკის ორივე სქესის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ექსპერიმენტის მონაწილეებს ზემოჩამოთვლილი ჩვევების არქონის გათვალისწინებით თითო-თითო ქულა ეწერებოდათ და ის, ვინც მაქსიმალურ 4 ქულას მიიღებდა, შესაბამისად, ყველაზე ჯანმრთელი იქნებოდა.

მოხალისეების თეორიულად შესწავლის შემდეგ სპეციალისტებმა პრაქტიკული ექსპერიმენტიც ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ისინი, რომლებმაც ვერც ერთი ქულის მოგროვება ვერ შეძლეს, ინსულტით დაავადების რისკის ქვეშ 2,3-ჯერ უფრო მეტად აღმოჩნდნენ.

– სიგარეტი, ალკოჰოლი, მხოლოდ სწრაფი კვების ობიექტების ნაწარმით კვება და ფიზიკური პასიურობა ადამიანებს უდიდეს პრობლემებს შეუქმნის, – ამტკიცებენ ბრიტანელები.

medkarta.com

მოამზადა მიხეილ სახვაძემ



ფიზკულტურის გაკვეთილზე:

– აბა, ბიჭებო, რომელი ეწევით? გულახდილად! არ მომატყუოთ! აჰა, ესე იგი შენ და შენ... გასაგებია... ჩვენ სამნი მოვწევთ, დანარჩენები კი სტადიონს 10 წრეს დაარტყამენ!..

მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი

გაზეთი „ალია“

ალია

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფიხმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჟაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან განეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ○-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

9 772298 000000

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აასაფაველი, I კვარტალი 80-4 კრებ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.03